P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

„ქართულ ოცნებას“ არჩევნების მეორე ტურის ეშინია?

იხილეთ მე-7 გვერდზე

პენსიონერები „ლიბერთი ბანკს“ მომსახურებას უწუნებენ

ბანკის ხელმძღვანელობა კი აცხადებს – „გაუძლებენ როგორმე“

იხილეთ მე-4 გვერდზე

№ 28 (678) 21 - 27 ოქტომბერი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

„ჩვენთან სასწრაფოს ექიმები არ შემოდიან, ეშინიათ, თავში არაფერი დაეცეთ“

ქუთაისში, გუგუნავას ქუჩის მცხოვრებლები პარლამენტისა და საკრებულოს მაჟორიტარებს — გუბაზ სანიკიძესა და დავით გოგისვანიძეს უყურადღებობაში ადანაშაულებენ

ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა №12-სა და №12ა-ში მდებარე შენობები გასული საუკუნის 50-იან წლებშია აშენებული და ამ დროისთვის ორივე შენობა ავარიულია. ორსართულიანი კორპუსები ელექტრო-მექანიკური ქარხნის საერთო საცხოვრებელი იყო. მოგვიანებით იქ მყოფ მუშებს გადაეცათ საკუთრებაში. შენობებში ამ დროისთვის 20-მდე ოჯახი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს.

ჩამონგრეული ჭერი, საიდანაც ცა მოსჩანს, ჩამტვრეული ფანჯრები, აყრილი იატაკი, დანგრეული კედლები — ეს შენობების მდგომარეობის არასაკმარისი აღწერაა. ადგილობრივები საერთო საპირფარეშოთი სარგებლობენ, აბაზანა კი საერთო არ აქვთ.

მოსახლეობის თქმით, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას არაერთხელ მიმართეს, თუმცა — უშედეგოდ. როგორც ისინი აღნიშნავენ, საპარლამენტო არჩევნების წინ პოლიტიკოსები მათი მდგომარეობით აქტიურად ინტერესდებოდნენ. მათთან „ქართული ოცნების“ წევრებთან ერთად, იმყოფებოდა ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი გუბაზ სანიკიძე, ქუთაისის საკრებულოს ავანგარდის მაჟორიტარი დეპუტატი დავით გოგისვანიძე, რომლებმაც მხოლოდ დაპირებები გასცეს.

ნაირა შვანგირაძე (ადგილობრივი მცხოვრები): „ვის აინტერესებს ჩვენი მდგომარეობა? რამდენჯერ მივმართეთ მერიას, რომ დაგვეხმაროონ, ან ეს შენობა გაგვირემონტონ, ან სხვაგან გადაგვიყვანონ, მაგრამ პასუხის ღირსადაც არ გვთვლიან. მხოლოდ არჩევნებზე ვახსენდებით, შარშანაც მოვიდნენ „ოცნების“ წარმომადგენლები, ჩვენი მაჟორიტარ-დეპუტატი გუბაზ სანიკიძეც იყო, ფოტოები გადაიღეს, ბევრი ივიშვიშეს, ეს რა დღეში ყოფილხართო, წავიდნენ და წავიდნენ. ხელისუფლებაში ხომ მოვიყვანეთ და მეტი რაღა უნდათ. შეუძლებელია აქ გაჩერება, შიშში ვცხოვრობთ, თავში არაფერი დაგვეცეს. იატაკი ჩვენ გავამაგრეთ, ძირს რომ არ ჩავვარდნილიყავით, მაგრამ ეს რას გვიშველის, მერიაში მხოლოდ სკამების დანაწილებით არიან დაკავებული და ჩვენთვის ვინ მოიცლის, ავანგარდის დეპუტატი დავით გოგისვანიძეც იყო მოსული, მაგრამ არჩევნების მერე ისიც დაიკარგა.“

ლალი წულაძე (ადგილობრივი მცხოვრები): „მეორე წელიწადია, შუქი არ მაქვს, ჩამიჭრეს გადაუხდელობის გამო. მერიას ვთხოვე დახმარება, განცხადებაც დავწერე აგვისტოში, მაგრამ არავის უპასუხია, აღარ მჯერა არავის დაპირების. ჯართს ვაგროვებ და ისე გამაქვს თავი, არც სოციალური დახმარება მაქვს. შვილთან ერთად ვცხოვრობდი, მაგრამ ახლა ჩემს შვილს ტყუპები ეყოლა და ბავშვები ამ სიბნელეში უნდა მოვიყვანო, როგორ გავათბო ამ ზამთარში? წვიმის დროს წყალი ჩამოდის მთელ შენობაში. უპატრონოდ ვართ, მხოლოდ დაპირებები იციან, სხვა არაფერი. სად არის მერია, სად არის მაჟორიტარი, მის ქალაქში ხალხი შიმშილით და სიცივით რომ იხოცება? მერიამ შენობის გადასახური მასალა გადმოგვცა, მაგრამ ისევ ისე აწყვია, როგორც მივიღეთ, რადგან არ გვყავს საკმარისი მუშახელი, რომ შენობა გადავხუროთ, ვთხოვეთ მუნიციპალიტეტს, ამ კუთხითაც დაგვეხმაროონ, მაგრამ აცხადებენ, რომ ეს მათ არ ეხებათ.“

მედეა ღვიტიძე (ადგილობრივი მცხოვრები): „ავარიულია მთელი შენობა. ეს კი არადა, სასწრაფო რომ გამოვიძახეთ, ექიმები არ შემოვიდნენ შიგნით, „გვეშინია, თავში არაფერი დაგვეცესო!“ ყველა გაოცებული გვეკითხება, აქ როგორ ვცხოვრობთ, მაგრამ წასასვლელი არსად გვაქვს.

გაგრძელება მე-2 გვერდზე



ხატია ვედმედევა:

„მე ვდებ პირობას, რომ ყოველთვის გვექნება ანშლაგი“

იხილეთ მე-3 გვერდზე

რატომ ვერ ამჩნევს ქვიტირის მოსახლეობა სოფლის დახმარების პროგრამით განხორციელებულ პროექტებს?

ზაზა ჭეიშვილი: „მოსახლეობა არაა დაინტერესებული, მსგავს პროექტებში ჩაერთოს, მაგრამ პრეტენზიები არ ელევათ, ხალხს ჰგონია, რომ გამოყოფილი მიზერული თანხა ყველაფერს ეყოფა“

იხილეთ მე-5 გვერდზე

დასუფთავებამ ქუთაისის ბიუჯეტი სეკვესტრს გადაარჩინა?

ქუთაისის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე დასუფთავების სამსახურის გეგმის შესრულებას ეჭვით უყურებს

იხილეთ მე-2 გვერდზე

მამა სულხანი არქიტექტურული უზუსტობის გასწორებას ითხოვს

სვანური კოშკი - იმერული სახურავით?

იხილეთ მე-3 გვერდზე

რა საჭიროა ტრანსპორტი?

ქვიტირის გამგებელი:

„ხალხი მიჩვეულია ფეხით სიარულს“

იხილეთ მე-5 გვერდზე

რატომ ვერ გადის ქართული თაფლი უცხოურ ბაზარზე?

სტუმრად წყალტუბოელ მეფუტკრეებთან...

იხილეთ მე-10 გვერდზე

სკამები ხარაგაულის ადმინისტრაციისთვის

იხილეთ მე-9 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „ჰოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ჰოპული“. წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

არჩევნები 2013 — გვ. 6

განცხადებები — გვ. 11

მე არავინ მითხრას – „მიშა, რა დღეში ჩაგვყარეო"

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისელებს კიდევ ერთხელ მოუწოდა, რომ მთავრობას პარლამენტის თბილისში გადატანა არ დაანებონ:

„პარლამენტის ამხელა შენობა ჩვენ პრაქტიკულად ავაშენეთ ერთ წელიწადში, ერთი თვე უნდოდა კიდევ, რომ გარშემო ტერიტორიები მოწესრიგებულიყო. ახლა ეს ტერიტორია, იმის მაგივრად, რომ მოწესრიგებულიყო და პარკები გაეკეთებინათ ქუთაისელებისთვის, ტბა, ხელოვნური პარკი, უამრავი რაღაცის გაკეთება იყო შესაძლებელი, გადაქცეულია საძოვრად. გუშინ აქ რომ გადავიფრინე, თივის ზვინებით იყო გარემოცული. ძროხებით არის აქაურობა სავსე. მსოფლიოში ყველაზე ლამაზი პარლამენტი თანდათან საძოვრად გადაიქცა. მე მსურს ვუთხრა ქუთაისელებს, ერთ-ერთი მთავარი გეგმა, რაც ამათ აქვთ, არის ის, რომ პირველ ტურში დაამთავრონ არჩევნები და პირველივე კენჭისყრაზე დააყენონ ქუთაისიდან პარლამენტის აღება. მსურს, ვუთხრა ქუთაისელებს, წყალტუბოელებს, ხონელებს, დასავლეთ საქართველოს მაცხოვრებლებს, ძალიან მიყვარხართ, მაგრამ მერე არავინ არ მითხრას მე, რომ „მიშა რა დღეში ჩაგვყარეო". ახლა თქვენ აძლევთ ხმას. თქვენი გადასაწყვეტია, უნდა იყოს თუ არა ქუთაისი საპარლამენტო დედაქალაქი, ეს ჩემი გადასაწყვეტი აღარ არის, მე ასე გადავწყვიტე და გავაკეთე, მერე თქვენ სხვანაირად გადაწყვიტეთ შარშან ოქტომბერში, ჩვენ მთელი წელი გვიჭირავს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მართვა არ აიღონ, პირადად, მე მიჭირავს კბილებით, რომ პარლამენტი არ წაიღონ აქედან, ისინი არჩევნების პირველ ტურში დამთავრებას ელოდებიან, იმისთვის, რომ პარლამენტი წაიღონ. ეს როგორ მოხდება, ჩემზე, საერთოდ, აღარ არის დამოკიდებული. დემოკრატიაა, მე დიქტატურა არ დავამყარე, პინოჩეტი არ გავმხდარვარ და ვერც გავხდებოდი, ძალიან მიყვარხართ და ძალიან გენდობით, ყველაფერი არის თქვენს ხელში," — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

psnews.ge

დასუფთავებამ ქუთაისის ბიუჯეტი სეკვესტრს გადაარჩინა?

ქუთაისის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე დასუფთავების სამსახურის გეგმის შესრულებას ეჭვით უყურებს

ქუთაისის მერიის დასუფთავების სამსახურმა 9 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. სამსახურმა, რომელიც ქალაქის ბიუჯეტის შესრულების ნაწილში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი სფერო იყო, ბოლო სამი თვის მონაცემებით, 405 ათასი ლარის ამოღება შეძლო, რაც წლიური გეგმის, დაახლოებით, მესამედს შეადგენს. 9 თვის ანგარიშის მიხედვით, სამსახურმა კვარტალური გეგმა არათუ შეასრულა, არამედ ბოლო წლებში არსებულ ამოღების ყველა მაჩვენებელს გაუსწრო და ბიუჯეტში დამატებით 4 ათასი ლარი შეიტანა.

„P.S.ფოტო" ©

თამაზ დეისაძე

„P.S.ფოტო" ©

გოგიტა გოგელაშვილი

გადასახადების ამოღების მაჩვენებლის მკვეთრ ზრდას დასუფთავების სამსახურში გააქტიურებულ მუშობას უკავშირებენ. სამსახურის უფროსს მიაჩნია, რომ 9 თვის მონაცემები, რომელმაც სამსახურის გეგმა ჩავარდნას, ბიუჯეტი კი შესაძლო სეკვესტრს გადაარჩინა, თანამშრომელთა დაუღალავი შრომის შედეგია. მისი თქმით, სამსახური ყოველდღიურად ინდივიდუალურად აფრთხილებს და მოუწოდებს აბონენტებს გადასახადის გადახდისკენ. მოსახლეობა კი მიხვდა, რომ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდა აუცილებელია.

„ჩვენი თანამშრომლები კარდაკარ დადიან და მოუწოდებენ მოსახლეობას, გადაიხადონ გადასახადი. როცა ჩვენ მოვედით, წარმოუდგენელი იყო ამ გეგმის შესრულება, რადგან თავიდანვე გადაჭარბებით დაიგეგმა, მაგრამ ახლა თუ ამინდებმა ხელი შეგვიწყო და ჩვენმა თანამშრომლებმა შეძლეს უბნებზე გასვლა, ალბათ, დავძლევთ ამ პრობლემას", – ამბობს დასუფთავების სამსახურის უფროსი **თამაზ დეისაძე**.

პრობლემა, რომელზეც სამსახურის ახალი უფროსი საუბრობს, სამსახურის შექმნის დღიდან არსებობს. როგორც საფინანსო–სარევიზიო კომისიაში ამბობენ, ბოლო 7 წლის განმავლობაში გეგმის შესრულება ბიუჯეტიდან გამოთავისუფლებული თანხების ხარჯზე ხდებოდა, რადგან სამსახურს ამ დრომდე არ გააჩნია გადასახადის ამოღების არანაირი მექანიზმი. უფრო მეტიც, არ არსებობს ქვითრები და აბონენტებმა ის ინდივიდუალური ნომრებიც კი არ იციან, რომლის მიხედვითაც ხდება სხვადასხვა კომუნალური გადასახადის გადახდა. შესაბამისი ნომრები აბონენტებს ახლა ურიგდება.

ერთადერთი, რაც სამსახურს შეუძლია და ისიც მხოლოდ ინდ.მეწარმეებსა და შპს-ებთან მიმართებაში, არის ის, რომ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში, შეუწყვიტოს მათ მომსახურება.

შეეძლო თუ არა მსგავს პირობებში სამსახურს ამოღების მაჩვენებლის 15%-დან 60-65%-მდე ზრდა (ციფრებს თავად თამაზ დეისაძე ასახელებს) და ასახავს თუ არა 9 თვის ანგარიში რეალობას, ამ კითხვაზე საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიაში პასუხობენ.

კომისიის თავმჯდომარე გოგიტა გოგელაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ორი თვის წინ აცხადებდა, რომ დასუფთავების სამსახური წლიურ გეგმას ვერ შეასრულებდა, რადგან აბონენტების საერთო რაოდენობა ბევრად ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულ თანხაზე, ისევ სამსახურის სუსტ მხარეებზე საუბრობს.

„თავიდანვე გამორიცხული იყო ამ გეგმის შესრულება,რადგან დაგეგმვა მოხდა გადაჭარბებით. შესაბამისად, როგორ წარმოგიდგენიათ იმის შესრულება, რაც არალეარულია? დასუფთავების სამსახურს სამართლებრივი ბერკეტიც კი არ გააჩნია, რომ დავალიანების დაფარვა აიძულოს აბონენტს. ამბობენ, რომ შეასრულეს 9 თვის გეგმა და ეს მონაცემები ციფრებში არსებობს, მაგრამ როგორ მოხდა ეს, არ ვიცი, თუმცა, წლების პრაქტიკიდან ყველამ იცის, რომ მსგავს შემთხვევებში, გეგმა რომ არ ჩავარდნილიყო, სხვა სფეროს აკლებდნენ თანხას და ასე აბალანსებდნენ," — ამბობს **გოგიტა გოგელაშვილი.**

თამაზ დეისაძის მიერ მოწოდებული დასუფთავების სამსახურის ბოლო სამი თვის მუშაობის შედეგები კი ასე გამოიყურება:

ამოღების მაჩვენებლების რაოდენობრივი და პროცენტული მონაცემები:

ივლისი – 130 ათასი ლარი – 43%

აგვისტო — 135 ათასი ლარი – 54%

სექტემბერი — 140 ათასი ლარი – 78%

მისი ინფორმაციით, ამოღების საერთო მაჩვენებელი 15%-დან 60-65%-მდე გაიზარდა და ამ მომენტისთვის შეადგენს 75%-ს.

ქუთაისში სულ 50 ათასი ოჯახი და 4 ათასი ინდმეწარმეა. დასუფთავების გადასახადი ერთ სულ მოსახლეზე 50 თეთრს შეადგენს. ინდ.მეწარმეებისა და შპს-ეების შემთხვევაში კი თანხა კომერციული ფართის მიხედვით განისაზღვრება.

მარიამ პატარაია

„ჩვენთან სასწრაფოს ექიმები არ შემოდიან, ეშინიათ, თავში არაფერი დაეცეთ"

ქუთაისში, გუგუნავას ქუჩის მცხოვრებლები პარლამენტისა და საკრებულოს მაჟორიტარებს — გუბაზ სანიკიძესა და დავით გოგისვანიძეს უყურადღებობაში ადანაშაულებენ

პირველი გვერდიდან

ტელევიზორში სოფლის მოსახლეობის მდგომარეობას რომ აჩვენებენ და უკვირთ, ასე როგორ ცხოვრობენო, ჩვენ გვეცინება, რადგან ამ დროს ქუთაისში, მთავარი გზის პირას, ქუთაისელები უარეს მდგომარეობაში ვართ. არაფერი ჩვენთვის არ არის, გვაწვიმს თავზე, აქვე ელექტრო სადგური მდებარეობს, ისეთი გამოსხივებაა, დაავადდა ხალხი. წესით, საერთოდ არ შეიძლება დასახლებულ პუნქტთან ასეთი სადგური, მეორეც, ვითომ ეს არ გვკმაროდა, გვერდით მდებარე რესტორნის მეპატრონემ, ვინმე კახა ბობოხიძემ, რესტორნის გაყვანილობის მთელ ქსელს ჩვენს კედელზე მოუყარა თავი, როგორ შეიძლება ასეთი რამ? ჩვენ არავინ არაფრად გვაგდებს. თუკი რაიმეთი დაგვეხმარებით და ჩვენს პრობლემებს გააჟღერებთ, მადლობის მეტი რა გვეთქმის."

„გუგუნავას 12 ნომერში მცხოვრებლების ბრალდებებს უპასუხა სულხან-საბას ტერიტორიული მართვის ორგანოს ხელმძღვანელმა ფირუზა ბენიძემ. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, აღნიშნული ბინის ბინადრებმა პროგრამა „კორპუსის" ფარგლებში შენობის გადასახურად თუნუქი მეორედ მიიღეს, მაგრამ რაც შეეხება გადახურვას, ეს, სამწუხაროდ, ჩვენს კომპეტენციაში არ შედის. მე თუ მკითხავთ, მაგ ბინას მუშახელის კი არა, „ბალკების" პრობლემა უფრო აქვს, რომც გადაიხუროს, შეიძლება ფიცრებმა ვერც გაუძლოს, ისეა დამპალი. ჩემის აზრით, მთლიანი გამოცვლა უნდა მოხდეს, მაგრამ მერია ამ სამუშაოებს ვერ უზრუნველყოფს," — აღნიშნა **ფირუზა ბენიძემ.**

ადგილობრივების მდგომარეობას ბინაში წყლის და გაზის არარსებობაც ართულებს. მოსახლეობას ე.წ. „გაზის ბალონებით" და ელექტრო ქურებით უწევს გათბობა. როგორც ისინი აცხადებენ, „ქუთაისგაზში" გაზის შეყვანაზე უარი შენობის ავარიული მდგომარეობის გამო უთხრეს. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ კი, რომელიც საერთო საცხოვრებლის გვერდით მდებარეობს, მოსახლეობას წყლის შეყვანა საკუთარი სახსრებით მოსთხოვა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეზოში მდებარე ერთადერთი ონკანიდან აღებული წყლის გამო გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია თითო სულ მოსახლეზე 1,5 ლარს იღებს.

„რაში გვახდევინებენ ფულს? მხოლოდ ეზოში მოდის წყალი, რომლითაც ჩვენს გარდა, სხვებიც სარგებლობენ, მაგრამ მხოლოდ ჩვენ გვახდევინებენ ფულს. ბინაში ვედროებით ვეზიდებით წყალს, აღარ შეგვიძლია, რამდენი უნდა ამოვიტანოთ, რომ ამდენ ადამიანს საპირფარეშოში ეყოს, ამიტომ საშინელი სუნი დგას, რასაც ნესტის სუნი ემატება და გაუსაძლისი მდგომარეობაა," — აცხადებენ ადგილობრივები.

რატომ იხდის მოსახლეობა წყლის ფულს მაშინ, როდესაც შენობაში წყალი არ არის, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქუთაისის სერვის-ცენტრის დირექტორი მიხეილ თათარაძე აღნიშნავს, რომ მოსახლეობამ რომელიც სასმელ წყალს ონკანიდან იღებს, ვალდებულია, საფასურის ნახევარი გადაიხადოს. იქვე საუბრობს იმ შეღავათზე, რასაც კომპანია გუგუნავას 12 ნომრის მცხოვრებლებს უწესებს.

„ვინაიდან ზემოთხსენებული ბინების მოსახლეობა სასმელად იყენებს ეზოს ონკანის წყალს, ისინი ვალდებული არიან, გადაიხადონ სასმელი წყლის გადასახადის ნახევარი. ხოლო სველი წერტილების ჩარეცხვისთვის წყალარინების (კანალიზაციის) სრული გადასახადი. კონკრეტულად: თუ წყალმომარაგების გადასახადი ერთ სულ მოსახლეზე (კორპუსებში) შეადგენს 2 ლარსა და 16 თეთრს. აქედან, 1 ლარი და 25 თეთრი სასმელი წყლისა და 91 თეთრი წყალარინების (საკანალიზაციო) გადასახადებია. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ბინის მობინადრეებს აქვთ სველი წერტილები, მათ ერიცხებათ 91 თეთრი, ხოლო სასმელი წყლის მოხმარების ნახევარი, ანუ 62 თეთრი. ჯამში, ერთ სულ მოსახლეზე გადასახადი შეადგენს 91+62=153 თეთრს. კომპანია კი ახდევინებს 150 თეთრს. რაც შეეხება იმ კორპუსებს, სადაც ფუნქციონირებს ეზოს ონკანები, კომპანიამ შეისწავლა ყველა წერტილი და დამუშავების პროცესშია სასმელი წყლის მოხმარების ტარიფის განსაზღვრა," — აღნიშნავს **მიხეილ თათარაძე**.

აღასანიშნავია, რომ გუგუნავას 12 ნომერში მცხოვრებლები, მიუხედავად მძიმე სოციალური პირობებისა, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში ვერ მოხვდნენ. როგორც მათ განაცხადეს, სოციალურმა აგენტმა დახმარების ვერ მიღების მიზეზად კარგი პირობები დაასახელა.

„რა პირობებია, ხომ ხედავთ და ამაზე რომ იტყვიან, კარგ პირობებში ცხოვრობთო, დაგვცინიან. აგენტი რომ მოვიდა, წყალი მთხოვა, ცივი წყალი, რომ მივაწოდე, ასეთი პასუხი გამცა — „შენ მაცივარი გქონია და დახმარება არ გეკუთვნისო!" — ეს არის პასუხი? რა უნდათ, ქუჩაში უნდა ვიცხოვროთ, დახმარება რომ მოგვცენ? ხომ აცხადებენ, რომ კანონით, მაცივრის გამო მაღალი ქულები არ იწერება, მაგრამ მათ, როგორც აწყობთ, ისე აკეთებენ," — განაცხადა ერთ-ერთმა მცხოვრებმა.

ნესტან ჩაგელიშვილი

P.S. ჩვენ შევეცდებით, გაზეთის მომავალ ნომერში ხელისუფლების იმ წარმომადგენელთა პოზიცია და საკითხის მოგვარების მათი ხედვა შევიტყოთ, ვისაც ამ ადამიანთა დახმარება კანონით ევალება.

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:
ნესტან ჩაგელიშვილი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

ხატია ვედმედევა:

„მე ვდებ პირობას, რომ ყოველთვის გვექნება ანშლაგი"

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მასშტაბური ცვლილებების განხორციელება იგეგმება. პირველ ეტაპზე თეატრმა გუნდი უნდა დააკომპლექტოს. თეატრის სამომავლო გეგმებზე თეატრის დირექტორი ხატია ვედმედევა გვესაუბრება.

„P.S. ფოტო" ©

ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი

— ქალბატონო ხატია, ახალი წლიდან თეატრში გამოცხადდება საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს არამხოლოდ თეატრის გუნდი, არამედ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც. გამოიწვევს თუ არა ეს პროცესი მასშტაბურ საკადრო ცვლილებებს?

— ცვლილებები იქნება, თუმცა თეატრიდან ვინმეს გაშვებაზე საუბარი არ არის. ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, რომ შევინარჩუნოთ ყველა კადრი, რადგან ეს ადამიანები წლების განმავლობაში ყველაზე რთულ პერიოდში მუშაობდნენ აქ და ნამდვილი პროფესიონალები არიან, მაგრამ მაინც არ არის საკმარისი თანამშრომლების ის რაოდენობა, რაც გვყავს. 256 თანამშრომელია შტატში, რაც ისეთი დონის თეატრისთვის, როგორიც გვექნება, ძალიან ცოტაა. ჩვენ, პრაქტიკულად, საბალეტო დასიც არ გვყავს. უნდა შევქმნათ კლასიკური ბალეტი. გარდა ამისა, გვყავს მხოლოდ ერთი ორკესტრი, ჩასაბერ ინსტრუმენტებზე კი, პრაქტიკულად, არ არსებობს კადრები. აქედან გამომდინარე, კონკურსის ჩატარება აუცილებელია. ჩვენ ძალიან სერიოზულად ვემზადებით ამ მომენტისთვის და, დარწმუნებული ვარ, დავდებთ ისეთ შედეგებს, რომ შევძლოთ ადგილობრივი კადრების შენარჩუნება.

— წინასწარაა ცნობილი, რომ იგეგმება უცხოელი სოლისტების ჩამოყვანა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ სპექტაკლებში უმეტეს როლებს მოწვეული სოლისტები შეასრულებენ?

— არამხოლოდ უცხოელები, არამედ ბევრი ქართველიც ჩამოვა. ბევრ ნიჭიერ ქართველს ვიცნობ, რომელსაც სურს, დაბრუნდეს და თავისი გამოცდილება მოახმაროს ჩვენს თეატრს. მოუთმენლად ელოდება ჩვენს ზარს ნომერ პირველი ქორეოგრაფი ნიკოლოზ მახათელი, რომელმაც 40 წლის წინ აქ, ოპერის თეატრის სცენაზე დადგა თავისი სადიპლომო ნამუშევარი. იგი ნებისმიერ წუთს არის მზად, მიატოვოს ამერიკაში ყველაფერი და დაბრუნდეს აქ.

ეს ის ხალხია, რომლებიც დაეხმარებიან და გამოცდილებას გაუზიარებენ ჩვენს მსახიობებსა და მუსიკოსებს.

უცხოელების ჩამოყვანას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თეატრის იმიჯისთვის. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე დაიჩაგრება აქ, ადგილზე. უცხოელი სოლისტები მხოლოდ პრემიერებზე ითამაშებენ. ჩვენ ძალიან მაღალი დონის პროფესიონალები გვყავს და მათი შრომა არ დაიკარგება. ყველას მიეცემა საშუალება, თავისი შესაძლებლობები გამოავლინოს, თუმცა, კონკურენცია მოტივაციისთვის აუცილებელია. გარდა ამისა, უცხოელ მსახიობებს მხოლოდ შემოქმედებითად არ გამოვიყენებთ. მათ ჩავრთავთ სასწავლო პროცესშიც, რათა 5-10 წელიწადში ჩვენი კადრები გვყავდეს.

— აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია 13 ოქტომბერს გიორგი მარგველაშვილის მხარდასაჭერად ქუთაისში გამართულ შეხვედრაზე თქვენმა დასწრებამ. გარდა ამისა, 13 და 15 ოქტომბერს ოპერის თეატრში უმასპინძლეთ კოალიციის ქუთაისის საარჩევნო შტაბის წარმომადგენელს და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც თქვენ საჯაროდ განაცხადეთ, რომ თეატრი აღარ იქნება პოლიტიკური შეხვედრების ადგილი. შეიცვალეთ თუ არა პოზიცია თქვენი განცხადებიდან ქუთაისში მარგველაშვილის ვიზიტამდე?

— პოზიცია არ შემიცვლია და დღემდე ასე ვფიქრობ, მაგრამ მე ვარ რიგითი მოქალაქე, რომელსაც მოუნდა თავისი აზრის დაფიქსირება და მივედი იქ, რომ მადლობა გადამეხადა გიორგი მარგველაშვილისთვის. იცით, რატომ მიყვარს ბატონი გიორგი? ის ნამდვილად პირველი ადამიანია, რომელიც ნამდვილად ზრუნავს ჩვენს ქალაქზე და გვიდგას გვერდით. გარდა ამისა, მას აქვს მთავრობის მხარდაჭერაც, რომელიც ფიქრობს, რომ ქუთაისი უნდა იყოს კულტურის დედაქალაქი და არა ადმინისტრაციული ცენტრი, რასაც მეც ვეთანხმები. მიმაჩნია,რომ ქალაქმა უნდა განავითაროს მისი ბუნებრივი ფუნქცია და ეს არის კულტურა.

„P.S. ფოტო" ©

ხატია ვედმედევა

— დაუთმობთ თუ არა თეატრის ტრიბუნას სხვა პოლიტიკურ ფიგურას ან მის წარმომადგენელს, მათი მხრიდან სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში?

— მე დღესაც თანახმა ვარ, ნებისმიერი კანდიდატის პროგრამა მოისმინოს ჩვენმა გუნდმა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს პოლიტიკური ფიგურის მიერ წარმოებული აგიტაცია. მხოლოდ მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ, შეხვდნენ ჩვენს თეატრში თანამშრომლებს და გააცნონ საკუთარი პროგრამა. სხვათაშორის, შეხვედრას, რომელზეც თქვენ საუბრობთ, არ ესწრებოდა გიორგი მარგველაშვილი და იქ არ ისმოდა აგიტაცია. მისი შტაბის უფროსმა, ზაზა მარუაშვილმა, მხოლოდ სამოქმედო გეგმა გააცნო მათ.

> **„უცხოეთში მცხოვრები ბევრი ქართველია მზად, მიატოვოს ყველაფერი და ჩამოვიდეს ჩვენი თეატრის დასახმარებლად"**

— როგორც ცნობილია, თქვენი ერთობლივი პროექტი მხოლოდ ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენას არ ითვალისწინებს, არამედ, იგეგმება ქალაქში ხელოვნებისა და კულტურის სფეროს სრული რეაბილიტაცია. ვინ ახორციელებს პროექტის ფინანსურ მხარდაჭერას და რა რაოდენობის ინვესტიცია ჩაიდება ქუთაისის კულტურის განვითარებაში?

— ჩვენ გვაქვს როგორც სახელმწიფოს მხარდაჭერა, ასევე კერძო სექტორიც აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში. ინვესტიციის ზუსტ რაოდენობაზე ახლა ვერ ვისაუბრებ, თუმცა, საკმაოდ დიდი თანხა ჩაიდება იმ უზარმაზარ პროექტში, რომელიც გვაქვს. ჩვენ დაგვჭირდება ახალი სასტუმროები, რესტორნები. ბიზნესი უნდა გაიზარდოს. რატომღაც ჰგონიათ, რომ კულტურაში ფულის ჩადება არ ღირს. ჩვენი მიზანია, შევქმნათ ისეთი გარემო, რომ დონორებმა თავად გამოთქვან სურვილი ინვესტიციის ჩადების. ქუთაისს მალე ვაქცევთ კულტურისა და განათლების ცენტრად.

— თეატრში თქვენი მოსვლის დღიდან შეჩერებულია შემოქმედებითი საქმიანობა. რამდენ ხანს გაგრძელდება მოსამზადებელი პერიოდი და როდის დაიდგმება ახალი სპექტაკლები ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე?

— შემოქმედებითი მუშაობა დროებით არის შეჩერებული, რადგან არ გვინდა, გავუშვათ ისევ ის სპექტაკლები, რაც იყო დღემდე. ჩვენ უნდა დავდგათ მაღალი დონის სპექტაკლები და ვაჩვენოთ ის ცვლილებები, რაც შევძელით. მე ვდებ პირობას, რომ იქნება ისეთი სპექტაკლები, სადაც ყოველთვის გვექნება ანშლაგი. მომავალ წელს ჩვენ შევხვდებით სულ სხვა თეატრში.

მარიამ პატარაია

მამა სულხანი არქიტექტურული უზუსტობის გასწორებას ითხოვს

სვანური კოშკი – იმერული სახურავით?

სოფელ მოწამეთაში მდებარე მოწამეთის მონასტერი, რომელიც ქუთაისიდან 6 კილომეტრით არის დაშორებული, ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. მოწამეთის ტაძარს, რამდენიმე წლის უკან რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. განახლდა თაღები, მოპირკეთდა და მოიხატა ფრესკები, მთლიანად გარემონტდა ყველა კედელი და ყოველი კუთხე ისე, რომ არ შეცვლილა მონასტრის ძველი იერსახე და სტილი, როგორც თავის დროზე ააშენეს ეს წმინდა ტაძარი.

„P.S. ფოტო" (ჭანა ჯანელიძე) ©

დეკანოზის, მამა სულხან ღუდუშაურის განცხადებით, ძალიან კმაყოფილები არიან რეკონსტრუქციის ხარისხით, თუმცა, ერთი დიდი შეცდომაა დაშვებული მშენებლობის დროს: მონასტრის შესასვლელში მე-8 საუკუნეში აშენებული სვანური კოშკი არის განთავსებული. ეს კოშკი ერთ-ერთ სვანს, გვარად დადეშქელიანს აუგია მას შემდეგ, რაც მრავალი წლის მანძილზე უშვილობის პრობლემით შეწუხებულს ტაძარში პირობა დაუდევს წმინდა მოწამეების: დავით და კონსტანტინეს ხატთან, რომ, თუ მას ძეს აჩუქებდა, მათ სახელზე სვანურ კოშკს ააგებდა ეკლესიის ეზოში. მისი თხოვნა შეისმინეს წმინდანებმა და მანაც პირობა შეასრულა, ააგო კოშკი, რომელიც დღემდე ნაყოფიერების, გამრავლების სიმბოლოდ ითვლება. თუმცა, დღეს ეს სვანური კოშკი იმერულ სტილზეა გადახურული. მამა სულხანის თქმით, რომელიც უკვე 34-ე მოწამეთობას ხვდემა ამ ტაძარში, ეს ძალიან დიდი შეცდომაა და შეურაცხყოფაა, როგორც თავდაპირველი მშენებელის, ასევე სვანებისათვის.

„ეს კოშკი ჩვენ სვანებს მივუჩინეთ სალოცავად და მათი დღესასწაულების აღსანიშნავად, ისინი 3-4 წელი მართლაც მოდიოდნენ აქ მოსალოცად, მაგრამ მერე შეწყვიტეს სიარული. მე, პირადად, არ მასვენებს ეს სიტუაცია, ეს ისეთია, სვანს რომ კახური ქუდით სიარული აიძულო. დარწმუნებული ვარ, წმინდანთა სულებიც დაისვენებენ მას შემდეგ, რაც ამ კოშკს შესაბამისად გადახურავენ. როდესაც არქიტექტორს ვუსაყვედურე, რატომ გადახურე სვანური კოშკი იმერულ სტილზე-მეთქი, ასე მიპასუხა, რომ ნახაზის მიხედვით ვიხელმძღვანელე და ჩემი შეცდომა არ არისო. არადა, ნახაზზე აუცილებლად ძველი სახით იქნებოდა კოშკი, ისე, როგორც დადეშქელიანმა ააგო და, რომც არ ყოფილიყო, ქაღალდში ჩახედვა რად უნდოდა იმის მიხვედრას, რომ სვანური კოშკი სვანური სტილით აშენებულიყო."

მამა სულხანმა განაცხადა, რომ აპირებს თავად სვანებს დაავალოს სახურავის გამოცვლა, თუმცა, იმედოვნებს, რომ სხვებიც გამოეხმაურებიან ამ წმინდა საქმეს და დაეხმარებიან კოშკისთვის ძველი იერსახის დაბრუნებაში.

„ეს უდიდესი მადლი იქნება ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც ამ კეთილ საქმეს გააკეთებს, მე ვთხოვ შესაბამის სამსახურებს, ვისაც კი შეუძლია დახმარება, გააკეთონ კეთილი საქმე. მით უმეტეს, არ არის ძალიან დიდ თანხებთან დაკავშირებული, უფალი მათ არ დაუკარგავს ამ უდიდეს მადლს."

ჭანა ჯანელიძე
psnews.ge

პენსიონერები „ლიბერთი ბანკს" მომსახურებას უწუნებენ

ბანკის ხელმძღვანელობა კი აცხადებს – „გაუძლებენ როგორმე"

ქუთაისში, ყოველი თვის შუა რიცხვებში „ლიბერთი ბანკის" ფილიალებში მომხმარებელთა რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება, რაც პენსიების გაცემასთანაა დაკავშირებული. პენსიონერებს საათობით უწევთ რიგში დგომა კუთვნილი თანხის მისაღებად. ხშირია გულწასული მოხუცების სახელდახელოდ გამოყვანა დაუსრულებელი რიგებიდან. ხალხი უკმაყოფილებას გამოხატავს მოლარე ოპერატორების სიმცირის გამო და მოითხოვს, ან ოპერატორების რაოდენობა გაიზარდოს, ან ქალაქში ბანკომატები დაამატონ.
პენსიის გაცემის დღეებში, ქუთაისში „ლიბერთი ბანკის" ორ ფილიალს ვესტუმრეთ იქ არსებული მდგომარეობის დასაფიქსირებლად, გავესაუბრეთ რიგში მდგომ რამდენიმე პენსიონერს:

„P.S.ფოტო" ©

მაგული ღოღობერიძე, პენსიონერი: „სულ ასეთი მდგომარეობა არის აქ, ამხელა რიგია და მარტო ერთი ოპერატორი ემსახურება ხალხს, დილის მერე აქ ვდგავარ, 4 საათი დაიწყო და კიდევ რამდენი კაცია ჩემს წინ. მაინცდამაინც გულწასული უნდა გამიყვანონ აქედან?!"

ელგუჯა გაგნიძე, პენსიონერი: „ყველა მოსწრებაზეა, ყველას სჭირდება ფული და ამიტომ ვიკლავთ თავს აქ დგომით. ხან ერთ ფილიალში მივედი, ხან – მეორეში, მაგრამ ყველგან ერთმანეთზე უარესი სიტუაციაა: გზიდან იწყება რიგები. ბანკომატები მაინც დაამატონ, ოღონდ – კარგად გამართული. თითქოს ამხელა რიგში დგომა არ გვყოფნიდეს, ხან თანხა გათავდაო, ამბობენ, ხან კარტას „ყლაპავს" და რა ვიცი, კიდევ რას არ მოიგონებენ. დავწყდით ხალხი მშიერ-მწყურვალი ამ სიცხეში და კაცისშვილს არ ადარდებს ჩვენი მდგომარეობა".

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბანკის ხელმძღვანელობის პოზიცია ასეთია, რომ, ჯერჯერობით, ვერ დააკმაყოფილებენ მომხმარებლების მოთხოვნებს, რადგან ეს დიდ თანხებთან არის დაკავშირებული: „ვერ დავამატებთ ვერც ბანკომატებს და ვერც მომსახურე პერსონალს, პენსიები თვეში ერთხელ რიგდება და 2-3 დღის გულისათვის ბანკი ამხელა ხარჯს ვერ გაიღებს. გაუძლებენ როგორმე," — განაცხადა იმერეთის რეგიონალური ფილიალის მმართველმა **ვახტანგ დუნდუამ**.

მსგავსი პრობლემა უკვე წლებია, რაც არსებობს არა მარტო ქუთაისში, არამედ – სხვა ქალაქებშიც. რამდენიმე წლის წინ საქართველოს პრეზიდენტი ბათუმში „ლიბერთი ბანკის" ფილიალს ესტუმრა, სადაც თავად აკვირდებოდა სადაზღვევო პოლისების დარიგების პროცესს. დიდი რიგების გამო, მიხეილ სააკაშვილმა მაშინ ბანკის ხელმძღვანელობას პროცესის მოწესრიგება მოსთხოვა: „დღეიდან არც ერთ საპენსიო განყოფილებაში არავინ რიგში არ ჩადგება და თუ ჩადგება, გადავცემთ ამას იმ ბანკს, ვინც პროცესს განახორციელებს რიგში ჩაყენების, გაზულუქების და ხალხზე თავზე წამოჯდომის გარეშე," – განაცხადა მაშინ პრეზიდენტმა. როგორც ჩანს, ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია და პენსიონერებს კვლავაც დაუსრულებელ რიგებში უწევთ დგომა კუთვნილი თანხის მისაღებად. გაურკვეველია, თუ რატომ ვერ იმეტებს „ლიბერთი ბანკი" საკუთარი მომხმარებლებისთვის ელემენტარული პირობების შექმნას.

ჟანა ჯანელიძე

მალხაზ წერეთელი:

„ჭიათურის მანგანუმის „ტრესტი" „ნაციონალების" საარჩევნო შტაბს წარმოადგენდა"

ბიძინა ივანიშვილის ვაჟი უტა ყიდულობს „ელოიზის" აქტივებს, რომელიც მოიცავს ჭიათურის მანგანუმის მოპოვებასა და წარმოებას, ასევე ზესტაფონის „ფეროსა" და ვარციხჰესის კასკადებს, ხოლო მაჟორიტარი დეპუტატი წერეთელი მანგანუმის მეწარმეთაგან თვიურად 20 ათას დოლარს იღებს, – ეს ჭორები ჭიათურაში მოვისმინე. პირველს „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უარყოფს და მეორე ჭორი წერეთლის ამომრჩევლებთან შეხვედრამ გააცამტვერა.
ჭიათურის მაჟორიტარ დეპუტატს მალხაზ წერეთელს ამ და სხვა თემებზე ვესაუბრეთ.

— ბატონო მალხაზ, თქვენთან რამდენიმე კითხვა მაინც მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ მრავალ საკითხს შეეხეთ და ერთი საათი ესაუბრეთ ამომრჩევლებს, როგორც ჯანდაცვის კომიტეტის წევრი, მართლა უნდა ველოდოთ მესამე შვილის ყოველთვიურად 100 ლარით დაფინანსებას?!

— ამის შესახებ ჩემთვის, ჯერჯერობით, ცნობილი არაფერია. თქვენგან გავიგე, რომ ამისთვის წლიურად მხოლოდ 5 მილიონია საჭირო. არაფერია გამორიცხული, ახალი ხელისუფლება ცდილობს, სოციალური ფონის გაუმჯობესებას, იცით, რომ სოციალური შემწეობა გაიზარდა, პენსიაც. მართალია, ეს არ არის საკმარისი, მაგრამ ჩვენ უკეთესობისკენ წავიყვანეთ ეს სფერო. ამასთანავე, მხოლოდ ორ მუნიციპალიტეტში შევძელით და დაფინანსდა ე.წ. რეგრესის პენსიონრების მრავალწლიანი დავალიანება. ეს მუნიციპალიტეტები ჭიათურა და ტყიბულია, მაღაროელებსა და მეშახტეებს, რომელთაც საწარმოო ტრავმის გამო შრომის შესაძლებლობა დაკარგეს.

— თქვენ კარგად იცნობთ ჯანმრთელობის სისტემას. მოგეხსენებათ, რომ ჭიათურა ჯანდაცვის გარეშეა დარჩენილი. 25 პაციენტზე გათვლილი „ჯეო ჰოსპიტალსი" კრიტიკას ვერ უძლებს, მით უმეტეს, რომ მან ვერც ამბულატორიის ექიმების ხელფასი ვერ გაისტუმრა!

— ამ ეტაპზე სოფლის ამბულატორიების მედპერსონალს ხელფასის 75% აქვს მიღებული, ანუ სახელმწიფოს ვალდებული ნაწილი, ხოლო „ჯეო ჰოსპიტალსი" 25%-ს არ, ან ვერ იხდის. სამწუხაროდ, საქართველოში მხოლოდ ექიმები არიან ასეთ მდგომარეობაში, ყველა სხვა ღებულობს ხელფასს რეგულარულად და სრულად, ექიმები — ვერა. აუცილებლად მოკლე პერიოდში გამოსწორდება ეს საკითხი!

— ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ვნახე, რომ ამბულატორიის ექიმებს უნდათ, ჰქონდეთ „ ჩანთა", მართალი გითხრათ, ეს ჩანთა და თავად ექიმებიც არ ჩანან ამბულატორიის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე საჭირო დროს!

— ამბულატორიის ექიმის ხელფასი 500 ლარია. ამ თანხით მან უნდა გადაიხადოს ამბულატორიის ყველა ხარჯი (კომუნალური) და „ჩანთაც" მუდმივად სავსე უნდა ჰქონდეს სამედიცინო საშუალებებით. შესაძლებელია, ამბულატორიის ექიმმა დაფაროს რამდენიმე სოფელი ამ ხელფასით და შესაძლებლობებით?! ამ ეტაპზე ჩვენ შევძელით ის, რომ საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში ნებისმიერ მოქალაქეს ჯანმრთელობის დასაცავად საბაზისო სიტუაცია შევქმენით და ორსულობის, მშობიარობის და მრავალი საკითხის რეგულირება მოვახერხეთ.

— ჭიათურას უმძიმესი მდგომარეობა აქვს ეკოლოგიური თვალსაზრისით...

— ჩემი საზრუნავი მუდმივად იყო მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა. ჩემი მოთხოვნით გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები არაერთხელ ჩამოვიდნენ ჭიათურაში და თუ არ ვცდები, 2 მილიონ ლარამდე დაჯარიმდება ის ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენს გარემოს აზიანებენ.

— ჩემი პირადი მოთხოვნით უკვე ორჯერ გადამოწმდა წაბლნარების გაჩეხვის კანონიერება და სანიტარული ჭრის წესების დარღვევის გამო ორივე შემთხვევაში ჯამურად 200 ათას ლარამდე შეფასდა ბუნებაზე მიყენებული ზარალი. პირველი დასკვნა გასული წლის მიწურულს უკვე იყო დაანგარიშებული და სასამართლო ჯერ კიდევ არ ჩანიშნულა. პროკურატურა მცემს პასუხს, რომ მოკვლევა გრძელდება. ალბათ, მოკვლევის ფინალისთვის ჩვენ ტყე აღარ გვექნება. ვფიქრობ, რომ „უძვლოა" დღევანდელი პროკურატურა!

— აუცილებლად დავაჩქარებ ამ საკითხს ჩემი კომპენტენციის ფარგლებში! ზემო იმერეთში გარემოს დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ინფორმაციაც ამოვიყვანე და ადგილზე გავაცანი მდგომარეობა. სამწუხაროდ, ისეთი საფუძველი აქვს გაცემულ ლიცენზიებს, რომ ერთი ხელის აქნევით ვერაფერს შევწყვეტთ.

— ამბობენ, რომ თქვენ „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზი" ყოველთვიურად 20 ათას დოლარს გიხდით...

— არ ვიცი, რატომ საუბრობენ ამ საკითხზე. ინფორმაცია აქვს ხალხს, რომ ჩემი ინიცირებულია მანგანუმის მოსაკრებლის გაზრდის შესახებ. უკვე პირველი მოსმენა იყო ამ კანონპროექტის. მწვავე იქნება მეორე და მესამე მოსმენა. ჩემი აზრით, თითქმის არარსებული მოსაკრებელი უნდა გაიზარდოს 3%-მდე, რასაც სიხარულით არ შეხვედრია ინვესტორი და ზემოთხსენებულ ჭორსაც, თავისთავად ცხადია, აქვს მხოლოდ დეზინფორმაციის და დისკრედიტაციის მიზანი, რაც ჩანასახშივე მკვდარია...

— მართალია, დაბალია ამჟამინდელი მოსაკრებლის ოდენობა, მაგრამ თქვენი ინიციატივა რომ დაკანონდეს, ინვესტორი ხომ არ გაიქცევა?! ისინი ამბობენ, რომ არსებული მოსაკრებელი ოპტიმალურია, თქვენი შეთავაზებული — ძალიან დიდი.

– მსოფლიოში მანგანუმის მოპოვების მოსაკრებლის ოდენობა 5%-დან 12%-მდე მერყეობს სხვადასხვა ქვეყანაში და რატომ უნდა გაიქცეს ინვესტორი, როცა ჩვენ ვთავაზობთ მხოლოდ 3%-ს?! ამით ნამდვილად წელში გაიმართება მუნიციპალიტეტი და აღარ ვიქნებით ასეთი ღარიბები. ჩვენდა სამწუხაროდ, ყველაზე მდიდარი რესურსებით ჭიათურაა და რეგიონში ჭიათურაზე ღატაკი არცერთი მუნიციპალიტეტი არ არსებობს. იმერეთში მაინც უნდა იყოს ჭიათურა ყველაზე მდიდარი, თუ მთელი საქართველოს მასშტაბით არა! თანაც, ადრე ჭიათურის მანგანუმის „ტრესტი" „ნაცმოძრაობის" საარჩევნო შტაბი იყო და ამას ახლა აღარავინ სთხოვს, რომ მმართველი პოლიტიკური ძალის გამარჯვებაში ფინანსები ჩადონ.

— ჭიათურას წყალმომარაგებაშიც ძალიან ცუდად აქვს მდგომარეობა!

— რამდენი წელია, რაც ჩვენს ქალაქს არ ღირსებია წყალმომარაგების საკითხზე ზრუნვა. წყალმომარაგება კომუნისტური დროიდან ქალაქს მუნიციპალური და მაღაროს სისტემებით ეწოდებოდა. ახლა ორივე სისტემა იმდენად მოშლილია, რომ ვერც კი უწოდებ წყალმომარაგების სისტემას. „ელოიზი" აცხადებს, რომ წყლის მომარაგებას არ გააგრძელებს ქალაქისთვის. მაღაროელებისთვის წყალს ვიყიდით მუნიციპალიტეტისგან და სისტემის რეაბილიტაციას არ დავიწყებთო. ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად ჩვენ ვცდილობთ, რომ ჭიათურაში წყალმომარაგების პრობლემა მოვხსნათ! სირცხვილია, რომ ჭიათურას წყალიც არ ჰქონდეს!

— დღეს ვნახეთ, რომ თქვენთან შეხვედრაზე მოსული იყო მუნიციპალიტეტის საგანმანათლებო სპექტრიც. მათ შორის – ცნობილი „მომრეკველებიც", ანუ ისინი ჩვეულებრივ ამპლუაში იყვნენ...

– მინდოდა, რომ ამომრჩევლებისთვის ჩემ მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში წარმედგინა. ვერ განვასხვავებ ჩემსა და სხვის ხმის მიმცემებად ჭიათურელებს. ვისაც სურვილი ჰქონდა, მოვიდა და მომისმინა. ძალადობის მოწინააღმდეგე ვიყავი მუდამ და თუ მისმენდით დღეს, არ გამიჟღერებია თუნდაც მოწოდება „ქართული ოცნების" მხარდასაჭერად. არჩევნები უნდა იყოს თავისუფალი. ყველამ საარჩევნო უფლება უნდა გამოიყენოს თავისუფალი ნების თანხლებით! „ქართულმა ოცნებამ" გასული წლის არჩევნებზე დაამსხვრია ის სტერეოტიპი, რომელიც ბოლო წლებში ჩამოყალიბდა - არჩევნების ძალადობრივი ფორმები ჩაბარდა წარსულს!

— თქვენი პროგნოზით, „ქართულ ოცნებას" საპრეზიდენტო არჩევნებზე როგორი რეზულტატი ექნება ჭიათურაში?

— ჩემი აზრით, 60% მაინც დაუჭერს მხარს ჭიათურაში გიორგი მარგველაშვილს. საერთოდ კი, ვფიქრობ, რომ პირველსავე ტურში გავა მარგველაშვილი და მეორე ტურზე ფიქრი არ დაგვჭირდება.

როლანდ ხოჯანაშვილი

„P.S.ფოტო" ©

რა საჭიროა ტრანსპორტი?

ქვიტირის გამგებელი:

„ხალხი მიჩვეულია ფეხით სიარულს"

წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირის მოსახლეობა სოფლიდან ცენტრალურ გზამდე მისასვლელ გზას ფეხით გადის. ტრანსპორტის არარსებობის გამო, ადგილობრივ მცხოვრებლებს სამნახევარი კილომეტრის ფეხით გავლა ყოველდღიურ რეჟიმში უწევს. სოფლის მცხოვრებთა არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მიკროავტობუსის დანიშვნა არ მოხდა. ქვიტირის მოსახლეობა გაუსაძლის პირობებს უჩივის და ადგილობრივი ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვს.

„მე შედარებით ახლოს ვცხოვრობ ცენტრალური გზიდან, მაგრამ ის, ვინც სოფლის ბოლოში ცხოვრობს, რა უნდა ქნას? 3 კილომეტრზე მეტია ცენტრამდე. ვითხოვდით, რომ ჭეიშვილების უბნის გავლით შემოსულიყო ტრანსპორტი და ესარგებლა ამ ხალხსაც, მაგრამ ესეც არ გააკეთეს," — აცხადებს **მადონა ჭეიშვილი**.

„26 წელია აქ ვცხოვრობ და ყოველდღე ფეხით გავდივარ ამ გზას. რამდენი ხანია, ვითხოვთ მარშრუტის დანიშვნას, მაგრამ ამაოდ. არავინ გვაქცევს ყურადღებას. შეუძლებელია ასეთ პირობებში ცხოვრება," — ამბობს სოფელ ქვიტირის მცხოვრები **ქეთევან ცერცვაძე**.

სოფლის გამგებელი ზაზა ჭეიშვილი მოსახლეობის პრობლემას უმნიშვნელოდ მიიჩნევს და ამბობს, რომ სოფლის მცხოვრებლები შეჩვეული არიან ასეთ პირობებს.

„ამ პრობლემის შესახებ ჩემთვის ცნობილია, თუმცა, ვიცი, რომ შეჩვეულია უკვე ხალხი ამ გზაზე ფეხით სიარულს. დაახლოებით, ორი წლის წინ დაინიშნა მიკროავტობუსი, მაგრამ ხალხი არ ჰყავდა და მხოლოდ ერთი კვირა იმუშავა. მერე თვითონ მძღოლმა თქვა უარი. ძვირიც არ ღირდა, მაგრამ არ იმუშავა მაინც," — ამბობს **ზაზა ჭეიშვილი**.

ერთადერთი ტრანსპორტი, რაც ცენტრალური მაგისტრალიდან სოფლის მიმართულებით მიდის, მესხეთის ხაზზე მოძრავი მიკროავტობუსია, თუმცა, როგორც ადგილობრივები ამბობენ, აღნიშნული მიკროავტობუსი მხოლოდ რამდენიმე ქუჩას გაივლის. გარდა ამისა, მათივე თქმით, მგზავრობის ღირებულება 50 თეთრია, რის გამოც ისინი მესხეთის მიკროავტობუსით სარგებლობას ვერ ახერხებენ.

„დადის აქ მესხეთის მარშრუტი, მაგრამ მხოლოდ შემოვლითი გზით. გარდა ამისა, ძალიან დიდი ინტერვალებით მოძრაობენ და ძვირიც ღირს. ჩვენ ვითხოვთ დაინიშნოს ისეთი მარშრუტი, რომელიც ქვიტირის ამ დასახლებას მთლიანად მოიცავს და არ ეღირება 40 თეთრზე მეტი. ისედაც ორმაგი ხარჯის გაღება გვიწევს იმისთვის, რომ ქალაქში ავიდეთ," — ამბობს სოფელ ქვიტირის მცხოვრები **მურთაზ მიქაძე.**

მოსახლეობა მიკროავტობუსის დანიშვნის პარალელურად, სოფლის გზის მოწესრიგებასაც ითხოვს. მათი თქმით, მხოლოდ სოფელში შესასვლელი გზაა მოასფალტებული. გზის სამ კილომეტრამდე მონაკვეთი კი ამორტიზებულია.

მარიამ პატარაია

რატომ ვერ ამჩნევს ქვიტირის მოსახლეობა სოფლის დახმარების პროგრამით განხორციელებულ პროექტებს?

ზაზა ჭეიშვილი: „მოსახლეობა არაა დაინტერესებული, მსგავს პროექტებში ჩაერთოს, მაგრამ პრეტენზიები არ ელევათ, ხალხს ჰგონია, რომ გამოყოფილი მიზერული თანხა ყველაფერს ეყოფა"

„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

ქვიტირის გამგეობის შენობა

„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

ზაზა ჭეიშვილი

მიმდინარე წლის ზაფხულზე სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოკვეთილი პრიორიტეტების და მოსახლეობის ჩართულობის დასადგენად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქვიტირის თემში ყოფნისას, გაზეთმა „P.S."-მა დეტალურად აღწერა, რა მდგომარეობაში იყო ქვიტირის გამგეობის შენობა. ჩამონგრეულ შენობაში გამგეობა, ბანკი, გინეკოლოგის, სტომატოლოგის კაბინეტები, ამბულატორია და ბიბლიოთეკა – ყველაფერი ერთ შენობაში იყრიდა თავს და არასახარბიელო მდგომარეობაში იყო.

როგორც მაშინ გაირკვა, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტით, ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ გამგეობის შენობის რეაბილიტაცია გამოიკვეთა. მიმდინარე წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან ქვიტირის თემისთვის 75 000 ლარი გამოიყო. აქედან ქვიტირისთვის 47 168, ხოლო ზედა მესხეთისთვის კი – 28 743 ლარი. თანხა მთლიანად თემში არსებული პრობლემების მოგვარებას უნდა მოხმარებოდა. არსებული წესდებით პრიორიტეტები ადგილობრივ მოსახლეობას უნდა შეერჩია.

როგორც გამგებელმა, ზაზა ჭეიშვილმა, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, შესასრულებელი პროექტები სწორედ მოსახლეობის მიერ გამოიკვეთა. თუმცა, გამგებლის განცხადებას არ იზიარებდნენ ადგილობრივები, ჩვენს მიერ გამოკითხული ქვიტირელები აცხადებენ, რომ სოფლის დახმარების პროგრამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ და არც პრიორიტეტების შერჩევაში მიუღიათ მონაწილეობა.

გაზეთი „P.S." დაინტერესდა, გაერკვია, განხორციელდა თუ არა შერჩეული პრიორიტეტები და რა ეტაპზეა მიმდინარე სამუშაოები.

— მიმდინარე წელს, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში რა სამუშაოები განხორციელდა ქვიტირში?

ლალი ჭეიშვილი (ქვიტირის მკვიდრი): „წელს არაფერი გაკეთებულა, „ოცნებას" არაფერი გაუკეთებია. ანუ სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში თუ გაკეთდა რამე? არ ვიცი ეგ რას გულისხმობს, მაგრამ ის ვიცი, რომ არაფერი გაკეთებულა. შეიძლება, მე არ ვიცი და გაკეთდა. ჩვენი გამგებელი კარგი ადამიანია და დარწმუნებული ვარ, უკანონობას არ ჩაიდენს, თუ გამოყოფილია თანხა, აუცილებლად გააკეთებენ. არც პრიორიტეტების გამოკვეთაში არ მიმიღია მონაწილეობა, არც გამიგია ამ შეკრების შესახებ. შარშან და წინა წლებში კი კეთდებოდა, გზები დაიგო, სასაფლაო შემოიღობა, ალბათ, წელსაც გაკეთდება."

თემური (ქვიტირის მკვიდრი): „აქ ვცხოვრობ და გაკეთებული არაფერი მინახავს, გარდა გამგეობის შენობისა, ალბათ, ისევ თავის კეთილდღეობისთვის იკეთებენ. სოფლის პრობლემების შერჩევისას ჩემი ახლობლებიდან არავინ ყოფილა შეკრებაზე, არავის გავუფრთხილებივართ. ჩვენ ვიქნებოდით თუ არა, ეს არც არის მნიშვნელოვანი, მთავარია, საქმე გააკეთონ. ამდენი ხანია, გაზი შემოყავთ ქვიტირში და ვერ იქნა, ვერ გააკეთეს. არცერთი ხელისუფლების დროს ხალხი და სოფელი არავის ახსოვს. აგერ არის დეკემბერიც და ვნახოთ, რა პრობლემებს მოუგვარებენ ქვიტირს."

მოსახლეობის საპირისპიროს აცხადებს ქვიტირის თემის გამგებელი ზაზა ჭეიშვილი. როგორც მან აღნიშნა, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 75 000 ლარიდან ქვიტირში 8 პროექტი ხორციელდება. მათ შორის – გამგეობის შენობა, რომლის რეკონსტრუქციისთვის 31 000 ლარი დაიხარჯა, შეიცვალა ფანჯრები, გაილესა და შეიღება კედლები, გამოიცვალა იატაკი. პროექტის ფარგლებში ასევე მეოთხე ქუჩაზე, გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად, 430 მეტრიან წყლის ამორტიზირებულ მილზე მიმდინარეობს სამუშაოები. მილების გაყვანა მოხდა ე.წ. კორეელების უბანში, დაიწყო შიდა გზების და ღვარსადენის მოწესრიგება. ასევე, დაიწყო ბაღის რეაბილიტაცია (ქვიტირის ერთადერთი ბაღი გაუქმებულია, გამგებლის განცხადებით, დაგეგმილია, მომავალი წლიდან ბაღმა ფუნქციონირება დაიწყოს), დასასრულს უახლოვდება კლუბში მიმდინარე სამუშაოები.

„მიმდინარე სამუშაოები წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. ჩვენ ფინანსებთან არანაირი შეხება არ გვაქვს, ამ საკითხს ცენტრალური ხელისუფლება წყვეტს. ჩვენ, მოსახლეობასთან ერთად, მხოლოდ კონტროლს ვაწარმოებთ. მოსახლეობა არაა დაინტერესებული, რომ მსგავს პროექტებში ჩაერთოს, მაგრამ პრეტენზიები არ ელევათ, ხალხს ჰგონია, რომ ამ თანხასთან ჩვენ უშუალოდ გვაქვს შეხება და ასევე ჰგონიათ, რომ გამოყოფილი მიზერული თანხა ყველაფერს ეყოფა, რაც, სამწუხაროდ, ასე არ არის. აი, თუნდაც გამგეობაში დაწყებული სამუშაოები, წელს სრულად ვერ დასრულდება, მაგრამ ძირითადი სარემონტო სამუშაოები ჩატარებულია. ზაფხულში ჩვენთან რომ იყავით, მხოლოდ ნეგატიური დაწერეთ, მაგრამ ხომ ნახეთ, მას შემდეგ ქვიტირის გამგეობაში როგორი ცვლილებები განხორციელდა!" – აღნიშნა **ზაზა ჭეიშვილმა**.

სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში დაწყებული პროექტები მიმდინარე წლის დეკემბერში უნდა ჩაბარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსრულებელ კომპანიებს ჯარიმები დაერიცხებათ.

ნესტან ჩაგელიშვილი

გაიგეთ საპრეზიდენტო კანდიდატების მოსაზრებები აქტუალურ საკითხებზე

P.S.“-ის რუბრიკა — საპრეზიდენტო კანდიდატები და მათი მოსაზრებები გრძელდება. ამ ნომერში გთავაზობთ პრეზიდენტობის კანდიდატების აკაკი ასათიანის, თეიმურაზ მჟავიას, ნინო ბურჯანაძის, თეიმურაზ ბობოხიძის, მიხეილ სულუაშვილისა და ავთანდილ მარგიანის პასუხებს საზოგადოებითვის საინტერესო სხვადასხვა შეკითხვაზე.

თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?

ასათიანი აკაკი:

საქართველოსთვის მისაღებია ლიბერალური, მცირე და საშუალო მეწარმეობის სტიმულირებაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა. ეს ხელს შეუწყობს უმუშევრობის პრობლემის დაძლევას და სოციალური უთანაბრობის შემცირებას.

მჟავია თეიმურაზ:

როგორც ცნობილია, 2005 წელს საქართველოსსაგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები და 21 სახეობის გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6, თუმცა, არსობრივად სისტემას არ განუცდია რაიმე სახის ცვლილება, იგი დარჩა ისეთივე პარამეტრებით, როგორიც იყო. მიმაჩნია, რომ, არსებული სისტემის ნაცვლად, უნდა დაინერგოს დიფერენცირებული საგადასახადო სისტემა, რომელმაც საგადასახადო სივრცე უფრო დინამიკური უნდა გახადოს. აღნიშნული სისტემის პოზიტიური არსი იმაში მდგომარეობს, რომ აყალიბებს დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ ნაწარმთან მიმართებაში. მაგალითად, შეძლებს, დააწესოს შედარებით დაბალი საგადასახადო ნიხრი ისეთ აქტუალურ პროდუქციაზე, როგორიცაა ბავშვთა კვება და სათამაშოები, დიაბეტური პროდუქტები და სხვა, ხოლო ფუფუნების საგნებზე გაზარდოს საგადასახადო ნიხრი. რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადის პრინციპებს, ამჟამად არსებული პროპორციულის ნაცვლად, როცა ყველა იხდის თანაბრად, გადავიდეთ პროგრესულ საშემოსავლო სისტემაზე — რაც მეტია შემოსავალი, მით მეტია საგადასახადო ნიხრი.

ბურჯანაძე ნინო:

მიგვაჩნია, რომ ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობაში ასახვა უნდა ჰპოვოს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების მიმართულებებმა. იგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მასტიმულირებელი უნდა იყოს. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა. საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით, გადასახადები მიბმული უნდა იყოს არა ქონებაზე, არამედ შემოსავლებზე. ყოველივე ზემოთქმულმა ასახვა ჰპოვა ჩვენს საარჩევნო პროგრამაში. რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადს, გვინდა, შევთავაზოთ ინოვაცია, რათა საქართველოს მასშტაბით ძალიან დიდი შემოსავლები გაზრდილი განაკვეთით დაიბეგროს და ამით მდიდარმა ფენამ მეტი სოლიდარულობა გამოხატოს ქვეყნის მოსახლეობის მიმართ. კერძოდ, წელიწადში 100000 ლარზე მეტი შემოსავალი (ხელფასებით, პრემიებით და დანამატებით) დაიბეგროს, 20-ის ნაცვლად, 25%-იანი საშემოსავლო განაკვეთით.

თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?

ასათიანი აკაკი:
ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა იქნეს ორგანიზებული რეგიონული პრინციპით. იგი უნდა შედგებოდეს ორი დონისგან (მუნიციპალური და რეგიონული). საჭიროა მმართველობის დეცენტრალიზაცია, რაც გულისხმობს უფლებამოსილებების (მათ შორის, საბიუჯეტო უფლებამოსილებების) გამიჯვნას.

მჟავია თეიმურაზ:
ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში უნდა მოეწყოს იმ პრინციპების საფუძველზე და იმ დებულებათა გათვალისწინებით, რაც მოცემულია ევროპულ ქარტიაში თვითმმართველობის შესახებ, რომელსაც საქართველო 2004 წელს შეუერთდა. აქ მნიშვნელოვანია, დავეყრდნოთ ორ უაღრესად არსობრივ პრინციპს: პირველია ის, რომ თვითმმართველობაზე დელეგირებული ფუნქციები უნდა იყოს უზრუნველყოფილი სათანადო შემოსავლებით და მეორე, სოფელს უნდა ხელმძღვანელობდეს მის მიერ არჩეული მმართველი და არა ის, რომელსაც ნიშნავს მუნიციპალიტეტის გამგებელი, რასაც ადგილი აქვს დღევანდელ პრაქტიკაში.

ბურჯანაძე ნინო:
დემოკრატია იწყება ადგილობრივი თვითმმართველობიდან. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები და ფინანსური რესურსები, რათა მათ სათანადოდ უზრუნველყონ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი მომსახურების გაწევა. ყველა სოფელში და ყველა ქალაქის თითოეულ უბანში უნდა აირჩეს მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის აქტიურ ჩართვას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.
პრეზიდენტი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ქმედითი ფუნქციონირების გარანტი და უზრუნველყოფს ცენტრალური ხელისუფლების ჩაურევლობას მათ საქმიანობაში. გაძლიერდება რეგიონული მმართველობა და თვისებრივად გარდაიქმნება გუბერნატორის ინსტიტუტი. რეგიონებს გადაეცემათ სათანადო უფლებამოსილებები და სტაბილური ფინანსური რესურსები, რათა მათ უზრუნველყონ რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მისი შედარებითი უპირატესობების გამოყენებით.

რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?

ასათიანი აკაკი:
ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საჭიროდ მიმაჩნია ნეიტრალიტეტის (მიუმხრობლობის პოლიტიკის) გამოცხადება. ეს საშუალებას მოგვცემს მოვხსნათ დაძაბულობა კონფლიქტის მხარეებს შორის და დავძლიოთ უნდობლობა, რაც პროდუქტიული გახდება უშუალო მოლაპარაკებების საწარმოებლად. მიმაჩნია, რომ ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა აფხაზთა და ოსთა ინტერესების რეალური გათვალისწინება.

მჟავია თეიმურაზი:
სახელმწიფოს გააჩნია უპირობო უფლება, განავრცოს საკუთარი იურისდიქცია საყოველთაოდ აღიარებული საზღვრების არეალში, რასაც ჩემი ქვეყანა მოკლებულია აგრესორის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის გამო. ამდენად, დარღვეულია სახელმწიფოს უპირველესი უფლება, განახორციელოს საკუთარი ტერიტორიის კონსტიტუციური კონტროლი. საერთაშორისო ორგანიზაციები მკაცრად აკონტროლებენ ვითარებას ჩემს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რაც უაღრესად მოსასალმებელია, მაგრამ რატომღაც არ აქტიურობენ აგრესორი მოძალადის, რუსეთის ფედერაციის მიერ ჩემი სახელმწიფოს უხეშად აყრილი უფლების დასაცავად. იმდენად, რამდენადაც საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა სრულუფლებიანი წევრიც საქართველოა, საკუთარ წესდებებში აღიარებული აქვთ წევრი სახელმწიფოების უფლებათა დაცვა, ოკუპანტი რუსეთის აგრესია აზარალებს არა მხოლოდ ქართულ სახელმწიფოებრიობას, არამედ უხეშად უპირისპირდება ამ სოლიდური ორგანიზაციების ავტორიტეტს და მათ საერთაშორისო ღირსებას. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა წარმოუდგენელია საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართულობის გარეშე, ამიტომ უპირველეს ღონისძიებათა რიგში დავაყენებ თანამშრომლობას აღნიშნულ ორგანიზაციებთან ჩვენთვის და ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის აუცილებელი კონკრეტული საკითხების ირგვლივ. აუცილებლად მიმაჩნია თანამშრომლობა რუსეთის პოლიტიკურ ოპოზიციასთან საქართველოს დეოკუპაციასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო, რათა მოვიპოვოთ მათგან მეტ-ნაკლები მხარდაჭერა და, რაც მთავარია, უნდა მოვახდინოთ ქართული სამოქალაქო ერთობის კონსოლიდაცია ძირითადი იდეის — საქართველოს დეოკუპაციის ირგვლივ. რაც შეეხება ხალხთა შორის ნდობის აღდგენას, აუცილებლად მიმაჩნია დიალოგის წარმოება პერმანენტულ რეჟიმში სახელმწიფოსა და მისგან გაუცხოებულ მოქალაქეთა შორის, ამ დიალოგში არასამთავრობო სექტორის ჩართვა, აღნიშნულ პროცესში სახალხო დიპლომატიის რესურსის სრული გამოყენება და უმთავრესი — ამ დიალოგს არ სჭირდება არანაირი შუამავალი, მით უმეტეს ისეთი, როგორიც რუსეთის ფედერაციაა.

ბურჯანაძე ნინო:
ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს. ამ პროცესის გაჭიანურება განუსაზღვრელი ვადით ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ უნდა დავიწყოთ ენერგიული, მეთოდური მოქმედება ამ პრობლემის გადასაწყვეტად. ჩვენი პოლიტიკა გულისხმობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, დევნილთა დაბრუნებას, კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.
ქართველებთან ერთად ერთ სახელმწიფოში ცხოვრება სრულ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებთან და მისწრაფებებთან. კონფლიქტების მოგვარება შესაძლებელია კონსენსუსის საფუძველზე ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებით. ერთი მხარის წარმატება მექანიკურად არ უნდა ნიშნავდეს მეორის მარცხს.

- პირველ ეტაპზე პრიორიტეტულია სახალხო დიპლომატიის, ყველა სახის კონტაქტების (ადამიანური, ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო, მედია და ა.შ.) წახალისება აფხაზურ და ოსურ მხარეებთან;
- დაგროვილი პრობლემების თანდათანობითი გადაწყვეტა პირდაპირი დიალოგის გზით. კონფლიქტების გადაწყვეტის უმთავრესი პრინციპი — ორიენტაცია არა იმაზე, რაც ერთმანეთს გვაშორებს, არამედ იმაზე, რაც გვაკავშირებს და მომავალში დაგვაკავშირებს;

ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად უმნიშვნელოვანესია ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა კომპონენტებს მოიცავს. აუცილებელია ყოვლისმომცველი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის სერიოზული განახლება;

- საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ობიექტიდან თანასწორუფლებიან სუბიექტად უნდა ჩამოყალიბდეს. უსაფრთხოების სფეროში ჩვენი პოლიტიკის ძირითად პრინციპად პრევენციული დიპლომატია უნდა იქცეს;
- უნდა გამოირიცხოს ავანტიურიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში, გავლენის ცენტრებს შორის ურთიერთობების დაძაბვა და კონფლიქტების პროვოცირება;
- ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს არა დიდი სახელმწიფოების ინტერესების შეჯახებისკენ, არამედ ამ ინტერესთა შეჯერებისკენ. საქართველო ინტერესთა შეჯახების პოლიგონის ნაცვლად, ინტერესთა შეჯერების სივრცედ უნდა ჩამოყალიბდეს. ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ურთიერთობის გაღრმავების პარალელურად, უნდა მიმდინარეობდეს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების პროცესი;
- სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში პრიორიტეტულია ევროკავშირთან მაქსიმალური დაახლოება, ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიღწევა და პერსპექტივაში სრულუფლებიანი წევრობა.

როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

ბობოხიძე თეიმურაზ:

საქართველომ თავისი წილი სარგებელი უნდა ნახოს იმ ბუნებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც ჩვენ გვიკავია. გასაგებია, რომ მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეგობრული დამოკიდებულება უნდა გვქონდეს და ამას არც არავინ უარყოფს, მაგრამ როცა ხედავ, რომ ამ შენი კეთილმეგობრული დამოკიდებულებით, შენი მეზობელი ქვეყანა (არ ვაკონკრეტებ ჩრდილოელი და თუ სამხრეთელი), მხოლოდ თავისთვის სარგებელს ეძებს და მის ინტერესებში სულაც არ შედის შენი წარმატებები, ასეთი დამოკიდებულება ხელს ვერ შეუწყობს კეთილმეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.
მეორე საკითხი რომლის განხორციელებასაც შევეცდები, ეს არის სრულიად კავკასიური სახლის დაფუძნება. ვთვლი, რომ თბილისი სრულიად კავკასიის კონფედერაციის ცენტრი შეიძლება გახდეს და მასში მოქმედ კავკასიურ სახლს, პირობითად კავკასიური კონფედერაციის „პროტოპარლამენტსაც“ კი ვუწოდებდი. ამ საკითხზე, ჯერჯერობით, სხვას ვერაფერს ვიტყვი.
რაც შეეხება შავი ზღვის აუზის ქვეყნებს, ვფიქრობ, რომ აქაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მეტი აქტიურობა გამოიჩინონ ჩვენი ევროკავშირში და ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

სალუაშვილი მიხეილ:

მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ჩემი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ვისახავ, რომ საქართველო გამოვიდეს საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია: „კავკასია — მშვიდობის სახლის“ შექმნის ინიციატორი. ის დაეფუძნება საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტების — სუვერენული სახელმწიფოების მიერ გამოხატულ კეთილ ნებას, რათა თავისი წვლილი შეიტანონ მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონში მშვიდობისა და საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბება-განმტკიცების საქმეში.
აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული საკითხები ჩვენს მიერ დეტალურადაა გაშუქებული ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ შემდეგ კრებულში: მ. სალუაშვილი, „საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაცია: „კავკასია მშვიდობის სახლი („კავმშვისა“)“, თბ. 2012 წ.

მარგიანი ავთანდილი:

რეგიონულ თანამშრომლობას დიდი როლი უჭირავს პოლიტიკურ თუ ეკონომიურ ცხოვრებაში, რაც გასათვალისწინებელია მეზობლებთან ურთიერთობაში და მათთან მეგობრულ დამოკიდებულებაში.

როგორ ფიქრობთ, უნდა შეეძლოთ თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში?

ბობოხიძე თეიმურაზ:
სასოფლო სამეურნეო მიწა, ტყე და სავარგულები უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არ იყიდება — ასე უნდა ეწეროს კანონში.
რაც შეეხება არასასოფლო დანიშნულების მიწას, ვთვლი, რომ ასეთი მიწა შეიძლება გაიყიდოს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე. ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მიწაზე უძრავი ქონება დგას, ან უნდა აშენდეს უძრავი ქონება.
რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც სურვილი აქვს, საქართველოში სოფლის მეურნეობას მოკიდოს ხელი, მან უნდა მიმართოს სახელმწიფოს, მის მიერ უკვე მოძიებული მიწის იჯარით აღების ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით (საიჯარო ვადები და სხვა დეტალები უნდა დარეგულირდეს კანონით). საქართველოს მოქალაქე კი, რომელიც იმ მიწის მესაკუთრეა და სურს, რომ ამ მიწის გაყიდვით სარგებელი ნახოს, მან მიწა უნდა დაუბრუნოს სახელმწიფოს, რომლის ღირებულებასაც არსებულ საბაზრო ფასში (იმ ფასში, რაც საქართველოს მოქალაქეებს შორის გარიგებისას წარმოიშვება) სახელწიფო გადაუხდის.
2014 წლის ბოლომდე ამ კანონით სრულად იკრძალება უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვა.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

„ქართულ ოცნებას“ არჩევნების მეორე ტურის ეშინია?

„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატისათვის არჩევნების მეორე ტური საოცრება იქნება და ის ამ საოცრებაში მონაწილეობას არ მიიღებს. როგორც ჩანს, გიორგი მარგველაშვილმა გაითვალისწინა პრემიერ-მინისტრისაგან საჯაროდ მიღებული რჩევა და თავისი ნებაც დაადასტურა. პრეზიდენტის შეფასებით კი მარგველაშვილის ამგვარი განცხადება ამომრჩეველზე ზეწოლა და ულტიმატუმია.



როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გაზეთებისა და რადიოების რედაქტორებთან შეხვედრისას თქვა, მარგველაშვილმა 60%-ზე ნაკლები რომ მიიღოს, ეს მისთვის შეურაცხმყოფელი იქნება.

„მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მეორე ტური. გიორგი მარგველაშვილმა 60%-ზე ნაკლები რომ მიიღოს, ესეც შეურაცხმყოფელი იქნება ჩემთვის. იმ 20 წელიწადში, როცა მე მინდა, მთელი ჩემი ძალისხმევა ჩემ ქვეყანას მოვახმარო, ცოტა დაბალი ენთუზიაზმი მექნება. 60%-ზე ნაკლები თუ მიიღო გიორგიმ პირველსავე ტურში, მე, რა თქმა უნდა, ჩემ გასაკეთებელს გავაკეთებ, მაგრამ ენთუზიაზმი ნაკლები მექნება. მე კიდევ ერთხელ მოვუწოდებ იმ ადამიანებს, ვინც მხარს გვიჭერს, რომ მოვიდნენ არჩევნებზე,“ — განაცხადა ივანიშვილმა. მისივე თქმით, საზოგადოებას განვითარება სჭირდება და ისეთ არჩევანს აკეთებს, რამდენადაც განვითარებულია ის. არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე, პრემიერმა, ფაქტობრივად, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ჩატარება საზოგადოების განვითარების ინდიკატორად აქცია და პირდაპირ თქვა, რომ ეს იქნება საზოგადოების განვითარების საზომი.

„ზოგი ინგლისურ გამოთქმას იშველიებს – „როგორიცაა საზოგადოება, ისეთივეა მთავრობა“. ქართველებს ყველაზე კარგი გამონათქვამი გვაქვს — „როგორიც ბერი, ისეთი ერი.“ თუ ისევ სურვილი აქვთ, ის მიიღონ, რაც ჰქონდათ, მე ხელს არ შევუშლი. მე მგონია, რომ საზოგადოება უფრო განვითარდა და მეორე ტურს არ დაუშვებს, მაგრამ თუ ეს ასე მოხდა, ე.ი. მე მეშლება. არიან ქვეყნები, რომლებიც სააკაშვილის მსგავსს და უარესსაც ეგუებიან, იმიტომ, რომ მათი განვითარების დონე, მათი მოთხოვნილება ესაა, მაგრამ მე ქართული საზოგადოების სხვანაირ მზაობას ვხედავ, სხვანაირ სამშობლოს ვხედავ ჩემსას,“ — განაცხადა **ივანიშვილმა.**

გიორგი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი „ქართულ ოცნებას“ უჭერს მხარს, მაგრამ საზოგადოების ნაწილი ვერ გაერკვა იმაში, თუ როგორ ქვეყანაში უნდა ცხოვრება და საით უნდა, რომ ქვეყანა წავიდეს. მისივე თქმით, კითხვა — დაინიშნება თუ არა ქვეყანაში არჩევნების მეორე ტური, იგივეა, რომ იკითხონ, ხომ არ გინდათ იმ დროში დაბრუნება, როცა ქვეყანაში იყო მონოპოლიები, როცა სასამართლო კონტროლდებოდა ხელისუფლების მიერ, როცა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხდებოდა პატიმართა წამება, ამიტომ ეს კითხვა არის შეურაცხმყოფელი.

„მეორე ტური არ იქნება, იმიტომ, რომ ეს არსებული სტატისტიკით შეუძლებელია, მაგრამ თუ მოხდა საოცრება და ქართველი ამომრჩეველი არ გამოვიდა უბანზე და მოხდა ისე, რომ გაიმართა მეორე ტური, მე აღარ ვხედავ აზრს ასეთ შემთხვევაში, რომ პოლიტიკაში ძალიან აქტიურად ჩართული დავრჩე. მეორე ტური აღარ არის შესაძლებელი, მაგრამ საოცრების შემთხვევაში, მე საოცრებაში მონაწილეობას აღარ მივიღებ. უნდა თუ არა საქართველოს ის პოლიტიკური სისტემა, რომელიც დავძლიეთ, ამ კითხვის დასმაც კი შეურაცხყოფად მიმაჩნია. ყველამ კარგად იცის, რომ არჩევნები მოგებული გვაქვს, მათ შორის, ჩვენმა ყველაზე გაუწონასწორებელმა ოპონენტებმაც კი,“ — განაცხადა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა.

***

პრემიერ-მინისტრისა და მმართველის კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატის ეს განცხადება მეორე ტურში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მაშინვე გააკრიტიკა ოპოზიციამ. „ამომრჩეველზე გარკვეული ტიპის ზეწოლა და მის მიმართ წაყენებული ულტიმატუმია“ — ასე შეაფასა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ მარგველაშვილის განცხადება.

„მიმაჩნია, რომ ეს არის გარკვეული ტიპის ზეწოლა ამომრჩეველზე, ამომრჩევლის მიმართ წაყენებული ულტიმატუმი, რომ თუ არ დამიჭერთ მხარს და არ გავალ პირველივე ტურში, მაშინ თქვენ თვითონვე დაკარგათ იმ ხმებს, რომელიც მომეცით. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ეს არის უპატივცემულობა ამომრჩევლის მიმართ. მე მინდა, ვუთხრა ჩემს ამომრჩეველს, რომ ჩემთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის ხმა და რამდენი პროცენტიც არ უნდა ავიღო, მე გავუფრთხილდები თითოეული თქვენგანის ხმას,“ — განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გამართულ დებატებში.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კი პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ არჩევნების მეორე ტურის შემთხვევაში, ის მარგველაშვილს ურჩევს, მასში მონაწილეობა არ მიიღოს, ქუთაისში ყოფნისას გამოეხმაურა.

„რას ნიშნავს მეორე ტურში თუ გადავა, მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. ეს არის იმ ამომრჩევლების იმედების გაცრუება, რომლებმაც მას პირველ ტურში მხარი დაუჭირეს,“ — განაცხადა **სააკაშვილმა.**

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი თარგამაძის შეფასებით კი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვებიდან ერთი წლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის ასეთი ტონით საუბარი ამომრჩეველთან, მეტყველებს იმაზე, რომ „ქართულ ოცნებას“ და მის კანდიდატს ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს პირველ ტურში გამარჯვებასთან დაკავშირებით.

„ეს თავდაჯერებულობა კი არა თავდაუჯერებლობის და სისუსტის გამოხატულებაა, როდესაც პრემიერ-მინისტრი ხალხს აშანტაჟებს და ამომრჩეველზე პირდაპირ პოლიტიკურ ზეწოლას ახდენს. შანტაჟი კი უკვე მეტყველებს სისუსტეზე, ზეწოლა მეტყველებს იმაზე, რომ მეორე ტურის ალბათობა მართლა ძალიან დიდია და ივანიშვილი და მისი შტაბი იძულებულია, მიმართოს ზუსტად მოსახლეობის არჩევანზე ზემოქმედების, აი, ასეთ უპრეცედენტო და მიუღებელ მეთოდებს,“ — განაცხადა **გიორგი თარგამაძემ.**

კრიტიკოსების პასუხად, კომენტარი გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა და აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილისა და გიორგი მარგველაშვილის გამონათქვამები მეორე ტურთან დაკავშირებით მეტაფორული იყო.

„მეორე ტურთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის ფრაზა იყო სრული მეტაფორა, რაც მიანიშნებს მის დამოკიდებულებასა და რწმენაზე, რომ პირველივე ტურში გაიმარჯვებს. მეორე მხრივ, ეს მიანიშნებს იმ დამოკიდებულებაზეც, რომ მას დაბადებიდან კი არ უოცნებია პრეზიდენტობაზე, არამედ მზად არის, ეს ფუნქცია შეასრულოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხალხის ნდობას მოიპოვებს. ვფქრობ, ეს სწორია,“ — განაცხადა **დავით უსუფაშვილმა.**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, ასევე მეტაფორა იყო ბიძინა ივანიშვილის რჩევაც, რომ მეორე ტურის შემთხვევაში, უმჯობესია, მარგველაშვილმა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს.

„ესეც იყო მეტაფორა და არა ის, რომ აუცილებლად ასე მოხდება. თუ დავუკვირდებით, ყველა კანდიდატი თავის დამოკიდებულებას აცხადებს არჩევნების თაობაზე. მაგალითად, გუშინ ორი კანდიდატისგან მოვისმინე, რომ 50% გარანტირებული აქვს, მათ შორის, არა მათგან, ვიზეც ზოგადად საუბრობენ, რომ საპრიზო ადგილებზე გადიან. ბრძოლაა, კონკურენციაა და კანდიდატები თავიანთ დამოკიდებულებას და მოლოდინს გამოხატავენ სხვადასხვა ფორმით და არავითარ შემთხვევაში ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ეს სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ,“ — აღნიშნა **უსუფაშვილმა.**

***

„არ არის კარგი, როცა კანდიდატს ასეთ რჩევას აძლევ, ყველა კანდიდატი დამოუკიდებელი უნდა იყოს“ — განაცხადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა. მისივე თქმით, საქართველოს კანონში არ არის გაწერილი, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურში გადასული კანდიდატი არჩევნებში მონაწილეობაზე უარს იტყვის.

„ყველაზე დიდი პრობლემა ის იქნება, რომ ჩვენ კანონში კონკრეტულად არ არის გაწერილი, რა უნდა მოხდეს, თუ მეორე ტურში გადასული კანდიდატი არჩევნებში მონაწილეობაზე უარს იტყვის. შესაბამისად, ჩვენ ორი არჩევანის საშუალება გვექნება, პირველი — დარჩეს ის ერთი ადამიანი, რომელიც გავა მეორე ტურში და მაშინ ერთი ხმის მიღების შემთხვევაშიც გამარჯვებული იქნება და მეორე — შემდგომი ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატმა მონაწილეობა მიიღოს მეორე ტურში. იმის გამო, რომ კანონში ეს არ არის გაწერილი, ყველაზე ლოგიკური გადაწყვეტილება იქნება მეორე ვარიანტი,“ — განაცხადა **გიგაურმა.**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას განცხადებით კი კანონმდებლობა იძლევა საშუალებას, რომ მეორე ტურში ერთი მონაწილით ჩატარდეს არჩევნები.

„საქართველოს კანონმდებლობით საპრეზიდენტო არჩევნები ორტურიანი საარჩევნო სისტემით ტარდება. მეორე ტური კი იმ შემთხვევაში იმართება, თუ პირველ ტურში კანდიდატმა აბსოლუტური უმრავლესობის 50+1% ხმა ვერ დააგროვა. იმ შემთხვევაში, თუ ეს არ მოხდა, მეორე ტურში ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი გადადის. მე ასეთი შემთხვევა პრაქტიკაში არ მახსოვს, მაგრამ თუ რომელიმე კანდიდატმა კანდიდატურა მოხსნა, მეორე ტურში გადადის ის დარჩენილი ერთი კანდიდატი. ხელახალი არჩევნები კანონმდებლობით იმართება იმ შემთხვევაში, თუ ორი საუკეთესო მეორე ტურში გადასული კანდიდატი მოხსნის კანდიდატურას, სხვა შემთხვევაში თუ ერთი მაინც დარჩა მეორე ტურში, კანონმდებლობა იძლევა საშუალებას, რომ მეორე ტურში ერთი მონაწილით ჩატარდეს არჩევნები. მეორე ტურში დადგენილი ზღვარი არ არსებობს, ის, უბრალოდ, მიიღებს ხმებს და გაიმაჯვებს,“ — განაცხადა ცესკო-ს თავმჯდომარემ.

ამრიგად, კანონმდებლობა იძლევა იმის საშუალებას, რომ მეორე ტური გიორგი მარგველაშვილის გარეშე ჩატარდეს. გახდება თუ არა საჭირო მეორე ტური საპრეზიდენტო არჩევნებში და მოუხდება თუ არა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს თავისი დაპირების შესრულება, ამას უკვე 27 ოქტომბერი აჩვენებს.

ციტნე პაატაშვილი

მთავრობის „საოცრება“ — კეზერაშვილის დაჭერა

„სამართლიანობის აღდგენის პროცესი გრძელდება და კეთილი ინებეთ და მოთმინებით მოეკიდეთ!“

საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი საფრანგეთში დააკავეს. პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, კეზერაშვილის დაჭერა ძალიან დიდი მუშაობის შედეგი იყო. მისივე თქმით, სამართლიანობის აღდგენის პროცესი გრძელდება და კოჰაბიტაცია საჭირო იყო იმისთვის, რათა ქვეყანაში სიმშვიდე შენარჩუნებულიყო.

დავით კეზერაშვილი

„თქვენ გგონიათ, კეზერაშვილი შემთხვევით დაიჭირეს? ეს ძალიან დიდი მუშაობის შედეგი იყო! იცით, რომ ის წითელ ცირკულარში არ ჩასვეს? რა გინდათ, რომ მიიღოთ, ეგვიპტე?! ჩვენ საოცრება მოვახერხეთ, არავითარი ეგვიპტის მსგავსი, არავითარი ქუჩა... აი, როგორი დაბალანსებულია ქართული საზოგადოება! კიდევ ერთხელ ვარწმუნებ ქართულ საზოგადოებას, რომ არ დარჩება იმის განცდა, რომ სამართლიანობა არ აღმდგარა. სამართლიანობის აღდგენის პროცესი გრძელდება და კეთილი ინებეთ და მოთმინებით მოეკიდეთ. ზოგს აქვს წარმოდგენა და სურვილი, საზოგადოებაში არსებობს ხალხი, რომელსაც აგრესია ვერ ჩაუცხრა და უნდა, მივაწვეთ და მივანგრიოთ. ხომ მივანგრიეთ ერთხელ და რა მივიღეთ — ეგვიპტეზე ადრე ხომ იყო ჩვენთან სამოქალაქო ომი? ჩვენ საოცრება მოვახერხეთ და ამის საფუძველი იყო ქართული საზოგადოების უწყვეტი კულტურა,“ — განაცხადა გაზეთებისა და რადიოების რედაქტორებთან მორიგი „მასტერკლასის“ ჩატარებისას პრემიერმა ივანიშვილმა. მისივე თქმით, ეჭვი აქვს, რომ კეზერაშვილი სახელისუფლებო რესურსებს იყენებდა და არასწორად მოპოვებული ფინანსებით აფინანსებდა „ნაციონალურ მოძრაობას“.

იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ კეზერაშვილი წითელ ცირკულარში ჩართული ძებნილი არ ყოფილა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერპოლის განყოფილებამ და მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შესანიშნავად იმუშავა ფრანგ კოლეგებთან ერთად და საფრანგეთის სასამართლომ 40-დღიანი საექსტრადაციო პატიმრობა შეუფარდა კეზერაშვილს. რა ვადაშიც მთავარმა პროკურატურამ უნდა წარადგინოს მასალები სისხლის სამართლის იმ საქმესთან დაკავშირებით, რაც აქ არის აღძრული.

„ორი საქმეა — ერთი ეხება ფულის გათეთრებას და მეორე – ბიზნესის მფარველობის კუთხით კორუფციის მნიშვნელოვან საქმეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიჩქარებთ, რომ კეზერაშვილის საექსტრადაციო პროცედურები 40 დღეში დასრულდეს, თუ არა და პატიმრობის გაგრძელება იქნება მოთხოვნილი, როგორც ეს ხდება ნებისმიერ სხვა კლასიკური ექსტრადაციის საქმის შემთხვევაში,“ — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა **წულუკიანმა.**

რაც შეეხება ექსტრადიციას, ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის თქმით, საქართველოს პროკურატურამ საფრანგეთს უნდა გადაუგზავნოს დასაბუთებულად ის ბრალდებები, რომელსაც კეზერაშვილს უყენებს. ამასთან, დოკუმენტებში უნდა შეძლოს, დაამტკიცოს, რომ პოლიტიკურად არ არის მოტივირებული. „თუმცა ვფიქრობ, რომ საფრანგეთი ყველანაირად შეეცდება, საქართველოს კეზერაშვილი არ გადმოსცეს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, რომ ის ისრაელის მოქალაქეა,“ — მიიჩნევს **ხაჭაპურიძე**.

„კეზერაშვილის ექსტრადაცია დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად დაადასტურებს და დაასაბუთებს პროკურატურა ამის აუცილებლობას. დანარჩენი კითხვები, რაც არსებობს – თუ არ იძებნებოდა წითელი ცირკულარით, როგორ მოხდა მისი დაკავება, რა ვითარებაში მოხდა და ასე შემდეგ. ამ კითხვებს პასუხი ოდნავ მოგვიანებით აუცილებლად გაეცემა. დღეს ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ,“ — განაცხადა თავდაცვის ყოფილი მინისტრის ადვოკატმა, **შოთა მინდელმა**.

მოამზადა
ციტნე პაატაშვილმა

უცხოეთში მცხოვრები ქართველები საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ...

მარათონული რბოლა პრეზიდენტობისთვის საქართველოში

ბრძოლა მარათონთან ბერძენ-სპარსელებს შორის მარათონული რბოლით დამთავრდა, როცა ერთ-ერთმა ბერძენმა ათენს გამარჯვება ახარა ერთი სიტყვით — „ნიკე, გავიმარჯვეთ!" და უსულოდ დაეცა. საქართველოში ოცი წელია, მარათონული რბოლა მიდის პარლამენტარობის, მინისტრობის და პრეზიდენტობისთვის და არავის არასოდეს არ უთქვამს „გავიმარჯვეთ!", ყველა იძახის „გავიმარჯვე!" და უბედური საქართველო საბერძნეთისგან განსხვავებით, სულ დამარცხებული, საზღვრებმორღვეული, მორალურად დამახინჯებული და გადაშენების გზაზეა დამდგარი.

დემოკრატია უძველესი ბერძნული სიტყვაა, იგი სახელმწიფო მმართველობაში უბრალო ხალხის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ხელისუფალნი დამოკიდებულნი იყვნენ ხალხზე და ხალხის ეშინოდათ. ქართული დემოკრატია ხალხის გარეშე არსებობს. იქნებ, ხალხი აღარც ვართ. ჩვენთან არის ხელისუფალთკრატია, რომელიც პარაზიტივით აზის ხალხს, ქვეყანას და უკანასკნელ სისხლს ართმევს არტერიიდან. საოცარია, რომ ამ სისხლდამშრალ ქვეყანას ოცდაათამდე პრეზიდენტობის კანდიდატი ჰყავს. სამი მილიონიდან ორი მილიონი ქართველი საზღვარგარეთ სამათხოვროდ არის წასული (უკაცრავად, მილიონერ ქართველებთან, რომლებსაც საქართველო ფეხებზე ჰკიდიათ), მილიონიან საქართველოს აღარ ჰყავს გლეხი და მუშა, დალაქი და მკერავი, ექიმი და ინჟინერი, პროფესორი და აკადემიკოსი, მწერალი და პოეტი, მხატვარი და არქიტექტორი, ყველას თავი პრეზიდენტად წარმოუდგენია. და მაინც, რას ფიქრობენ იტალიაში მყოფი ქართველები საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებზე?

მარიკა მესხი: „მეოთხედი საუკუნის იმედგაცრუებით მყოფ საქართველოს მომავალი აღარ გააჩნია და არც პრეზიდენტობის ამდენი კანდიდატი არ უნდა არსებობდეს. არცერთმა მათგანმა არ იცის, რას ეპოტინება და რას შეძლებს. ერთი და იგივე სახელები და გვარები. ყველანი პოლიტიკაში უკვე წაგებული პოლიტიკოსები არიან. მათ არ ივარგეს წარსულში, არ ვარგოდნენ დღეს და არ ივარგებენ მომავალში. აბა რა ვქნათ? არავინაც არ ავირჩიოთ და ვიყოთ სულ არჩევნებში, ეს უფრო სახალისოა."

მედეია ცაგურია: „საპრეზიდენტო კანდიდატთა სია იმდენად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, რომ ეს საპრეზიდენტო ინსტიტუტს აყენებს ეჭვის ქვეშ. ხელისუფლების რაღაც სხვა ფორმაა საჭირო, აზიურ-ევროპული, ნახევრად დიქტატორული, ნახევრად დემოკრატიული, რასაც ნაკლები ყბედობა და მეტი საქმის კეთება მოჰყვება. ამისთვის არც ერთი დასახელებული კანდიდატი არ გამოდგება."

თამილა გიორგაძე: „დღეს საქართველოს პრეზიდენტობა დიდად სასიხარულო საქმე არ უნდა იყოს. ეს არ არის დავითის ეპოქიდან თამარის ეპოქაზე გადასვლა, ეს შევარდნაძის ნანგრევებზე მოსვლაა და, ყოველ მხრივ, ძლიერი უნდა იყო, ამ ნანგრევებმა არ ჩაგიტანოს. არ ვიცი, მაგრამ, რატომღაც, პრეზიდენტად ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მოვიაზრებ. იგი ყველა ასაკში ხელმძღვანელად იყო დაბადებული, სკოლაში, უმაღლესში, ხელისუფლებაში. გაწონასწორებული ხასითი, თავდაჭერილობა, რეალობის კრიტიკული შეფასება, სიტუაციის განმუხტვა. მას ჰქონდა შეცდომები, მაგრამ ვიტყოდი, ეს მისი გუნდიდან მოდიოდა. გუნდის შერჩევა ჩვენმა პოლიტიკოსებმა ან ნამდვილად არ იციან, ან ზეწოლის ქვეშ არიან."

დალი ფხაკაძე: „დიდი ხანია საქართველოში პრეზიდენტობის ვირუსია გავრცელებული. საკუთარი შესაძლებლობების გადამეტებული შეფასება, ეგრეთწოდებული, „მე ვარ და ჩემი ნაბადიო", ღუპავს ქვეყნის აწმყოს და მომავალს. ქალბატონ ნესტან კირთაძეზე შევაჩერებ ჩემს აზრს. ნამდვილად ნიჭიერი ქალბატონია. არაჩვეულებრივი ისტორიული წიგნები შექმნა საქართველოს უახლეს ისტორიაზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტად უნდა ავირჩიოთ. იგი იქ არის ძლიერი, სადაც შესაძლებლობა აქვს თავისი ნიჭი და უნარი გამოამჟღავნოს – საწერ მაგიდასთან, საარქივო ისტორიულ დოკუმენტებთან. გინდოდეს პრეზიდენტობა, სულაც არ ნიშნავს შეგეძლოს პრეზიდენტობა."

მარინა იობიძე: „საქართველოს წარსული ბევრს ლაპარაკობს ჭკვიან და უჭკუო, ძლიერ და სუსტ მეფეებზე, მაგრამ ყველა მათგანმა მძიმე ეპოქებში გამოატარა საკუთარი ხალხი. დღევანდელ საპრეზიდენტო კანდიდატებში ჭკვიანებიც არიან, მაგრამ საპრეზიდენტოდ მზად არც ერთი არ არის. უდიდეს პატივს ვცემ შალვა ნათელაშვილს მისი განათლებისთვის, მართალი სიტყვისთვის, მასებზე ზემოქმედების უნარისთვის, მაგრამ მას ყოველთვის ოპოზიციაში მოვიაზრებ, რადგან იგი ამხელს ხელისუფლების შეცდომებს, ხედავს გზამრუდად მავალ პოლიტიკოსებს. ჭკვიანმა ხელისუფლებამ სწორედ შალვა ნათელაშვილის ოპოზიციონერობა უნდა ისურვოს, რადგან ვიღაცის მართალი სიტყვის ხომ უნდა ეშინოდეთ."

ნატო ბოცვაძე-მახარაძე: „ყველა ქვეყანას თავისი ღმერთი ჰყავს. თუ ამ ღმერთს არ ეთაყვანე, სამშობლოს საქმეს ვერ გააკეთებ. საქართველო 20 წელზე მეტია უღმერთოდ დადის და თუ ახლა მაინც ვერ შევძელით ღვთიური შვილის შერჩევა უდაბნოში სახეტიალო დრო კიდევ უფრო გაიზრდება. მე გიორგი მარგველაშვილს მივიჩნევ ამ ეტაპზე საქართველოს ღირსეულ საპრეზიდენტო კანდიდატად. ის მოჰყვა ადამიანს, რომელმაც ოცნების უფლება მოგვცა. ოცნებების ახდენა უცებ არ ხდება, მაგრამ საერთო ძალით, შეთანხმებით, სიყვარულით და ერთად დგომით სასწაულის მოხდენა შეიძლება. ბატონი გიორგი მარგველაშვილი განათლებული პიროვნებაა. არც ამბიციები უნდა აწუხებდეს გადაჭარბებულად. ბიძინა ივანიშვილის თანამოაზრეობა მას კარგ პრეზიდენტად ჩამოაყალიბებს."

გულო გელხვეიძე, ლალი გოგელაშვილი: „მარტო საპრეზიდენტო კი არა, არსებობის კრიტიკული მდგომარეობა აქვს საქართველოს. მიუხედავად სიმრავლისა, ვერცერთ კანდიდატზე ვერ ვიტყვით, რომ სამშობლო არ ედარდებათ, მაგრამ არა აქვთ შენიღბული პოლიტიკური თამაშების ნიჭი. ახლოს არ დგანან მოსახლეობასთან, ამბიციები აერიათ შესაძლებლობებში. დაკარგული აქვთ იმ არეალის გაკონტროლების უნარი, სადაც საქართველო და ქართველი ხალხი არსებობს. ამას ემატება გლობალური პროცესები და რატომღაც, პირველი საქართველო იძირება. ჩვენი გადასახედიდან, რა ინფორმაციასაც კომპიუტერით ვფლობთ, შედარებით ძლიერი, ჩამოყალიბებული, სერიოზული პროგრამით გამოდის ბატონი გიორგი თარგამაძე. ეს ახალგაზრდა კაცი დიდი ხანია პოლიტიკაშია, ბევრს არ ლაპარაკობს, მაგრამ გამოცდილებაც დიდი აქვს და პოლიტიკური ხედვაც. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ ბატონ ასლან აბაშიძეზე, ის ძალიან ჭკვიანი ხელისუფალი იყო და მასთან გამოზრდილ ახალგაზრდა პოლიტიკოსს არაფერი არ უნდა შეეშალოს. ვერც ბადრი პატარკაციშვილის ღალატს დავაბრალებთ, რადგან მათ ერთი აზრი და მიზანი აერთიანებდათ და გადაცემა „დროება" განუმეორებელი და დაუვიწყარი იყო ქართული მედიის ისტორიაში. გადახედეთ გიორგი თარგამაძის პროგრამას, მოუსმინეთ მას, შეედავეთ, ეკამათეთ და მერე გადაწყვიტეთ. თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ გიორგი თარგამაძეს არ ჰყავს სრულყოფილი პოლიტიკური გუნდი, რომელიც მის პროექტებს და იდეებს აითვისებს და ნამდვილი პასუხისმგებლობით მოეკიდება პრეზიდენტის გუნდში ყოფნას. ვიცით, რომ თაყაიშვილები აღარ იბადებიან, მაგრამ ნუთუ ერთგულებამ საბოლოოდ დაკარგა ფასი?!"

როგორც ხედავთ, სამშობლოს მოწყვეტილი ქართველები ერთგვაროვნად არ ფიქრობენ საქართველოს საპრეზიდენტო კანდიდატებზე. ვიღაცებს ისევ მიშას კუბში აყვანა სურთ დავით ბაქრაძის სახით, ვიღაცები აკაკი ასათიანს და ქართლოს ღარიბაშვილს გამბედაობას უწუნებენ, კობა დავითაშვილს საკაშვილის ნათლიმამობას, თამაზ ბიბილურს სულელურ თავდაჯერებულობას, და ასე დაუსრულებლად. დასკვნა ერთია, სანამ ქართველი პოლიტიკოსები ერთმანეთს ყვავებივით დასჩხავიან, ვიღაცები თავიანთ საქმეს იკეთებენ. ტყუილად როდი თქვა შაჰ-აბასმა: „ღმერთმა ნუ ქნას გაერთიანებული საქართველო კი არა, გაერთიანებული ქართველობაო!"... იმ ხალხის მომავალი, რომელსაც შური, გაუტანლობა, ღალატი ღრღნის, სანაგვეზე იქნება საძებნელი. ფრთხილად ქართველებო! იქნებ შურის გარეშე აირჩიოთ კაცი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ფეხზე დააყენებს.

ციხანა იობიძე
იტალია, ქ. ბარი

გაიგეთ საპრეზიდენტო კანდიდატების მოსაზრებები აქტუალურ საკითხებზე

მე-6 გვერდიდან

აქედან გამომდინარე, ჩვენ ამ მორატორიუმის პერიოდს ვადარებთ აღმოსავლეთ ევროპის ხსენებული ქვეყნების იმ პერიოდებს, რომელშიც მათ დაწესებული ჰქონდათ აკრძალვები უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვასთან დაკავშირებით.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის პროექტი ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის გზაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა და მისი განხილვის პროცესს დავარქმევდი არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი, ეროვნული, საშვილიშვილო მნიშვნელობის მოვლენას.

როგორ მოვიქცეთ თუკი ვიცავთ სხვა მოქალაქის უფლებებსა და თუკი ის გადის სამოქალაქო ინტეგრაციას? ან იღებს საქართველოს მოქალაქეობას? გამოვიყენებ ევროკავშირის მაგალითს: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (მათ შორის, მემკვიდრეობით მიღებულის) საკუთრების უფლება აქვთ:

ა) საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს;

ბ) უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს".

სალუაშვილი მიხეილ:
მაცხოვრის კვართის ადგილი და ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს მიწა-წყალი ეკუთვნის, უპირველეს ყოვლისა, ღმერთს და შემდგომ, საქართველოს მოქალაქეებს.

მარგიანი ავთანდილი:
არა და არა, ეს უკვე ის ცბიერი ფორმაა, რომელიც ქვეყანას დააქუცმაცებს ნაწილ-ნაწილ. უნდა დამკვიდრდეს ქვეყანაში საიჯარო ხელშეკრულებების ფორმა, რეალური ვადის გათვალისწინებით.

> **როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?**

ბობოხიძე თეიმურაზ:
თავდაცვის ორგანიზება, ვფიქრობ, სწორი გზით მიდის. მიმაჩნია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები რიცხობრივად, დაახლოებით, იმ რაოდენობის უნდა იყოს, რამდენიც დღეს არის, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია, ქვეყანას თავდაცვით ომთან ერთად შეეძლოს სრულმასშტაბიანი პარტიზანული ომის წარმოება.

ჯარში სამსახურს რაც შეეხება, მომხრე ვარ, რომ ყველა ახალგაზრდამ და, მათ შორის, ქალების იმ ნაწილმაც, ვისაც ამის სურვილი ექნება, გაიაროს სამხედრო სწავლების კურსი. ვადა, ხანგრძლივობა და შესასწავლი პროგრამა სპეციალისტებთან ერთად უნდა დადგინდეს. რაც შეეხება შეიარაღებულ ძალებს, ის უნდა მოეწყოს საკონტრაქტო საფუძველზე. მასში ჩარიცხვის მსურველს გავლილი უნდა ჰქონდეს ზემოთ ნახსენები სამხედრო სწავლების კურსი. კონტრაქტით მომსახურე მიიღებს შესაბამის სამედიცინო დაზღვევას, საპენსიო უზრუნველყოფას და ბინას სახელმწიფოსაგან.

სალუაშვილი მიხეილ:
ჩვენი ქვეყნის მიერ აღიარებული მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის პრინციპებიდან გამომდინარე, ქვეყანას უნდა ჰქონდეს საკონტრაქტო და სარეზერვო სისტემაზე აგებული სამხედრო სამსახური.

მარგიანი ავთანდილი:
შინაგან ჯარების ფორმას, გეოსტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე.

ბიძინა ივანიშვილი: „ოლიმპიადაზე უარის თქმას ყოველთვის მოვასწრებთ"

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა კომენტარი გააკეთა სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობა-არმონაწილეობის შესახებ.

საზოგადოებრივ მაუწყებელთან ინტერვიუში, ამ საკითხთან დაკავშირებით, მან თავისი პოზიცია დააფიქსირა. პრემიერის თქმით, „ჩვენ უნდა დავასრულოთ ცხოვრება იმპულსებით. ჩვენ (მთავრობამ) გავაკეთეთ **განცხადება** და ეს არის ჩემი პოზიცია. არაფერს შეურაცხმყოფელს ჩვენს ქვეყანას არ ვაკადრებთ და ჩვენ მოვიქცევით ღირსეულად. მაგრამ იმპულსურად ნუ ვიცხოვრებთ. თუ საჭირო იქნება, უარსაც ვიტყვით ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. ჯერ დრო გვაქვს კიდევ ოლიმპიადამდე. უარის თქმას ყოველთვის მოვასწრებთ. ყველაზე მარტივი ეგაა. ნუ, ვიტყვით უარს და მერე რა?"

„თუ ამის საჭიროება იქნება და ეს ჩვენს ქვეყანას უფრო წაადგება, შევხედავთ, მივიდეთ უფრო ახლოს. თუ შევხედავთ, გავაანალიზებთ და ვიტყვით, რომ ასე ჯობია, მაშინ არ წავალთ. რად უნდათ ეს ამდენი აჟიოტაჟი და აყალმაყალი რომ აქვთ ატეხილი?" — იკითხა მან.

ივანიშვილმა ასევე განაცხადა, რომ ბევრი ის ორგანიზაცია, რომლებიც კამპანიას ახორციელებენ, მათ შორის „NGO-ები, ერთი კაცის და ერთი სტრუქტურის კერძო ინტერესებს გამოხატავენ". თუმცა, მან იქვე დასძინა, რომ იგი იზიარებს ბევრი ადამიანის შეშფოთებას, მიუხედავად იმისა, თუ ვის უჭერენ ისინი მხარს, რუსეთის ბოლო ქმედებებთან დაკავშირებით.

„სახელმწიფო არ უნდა იყოს იმპულსური", — განაცხადა ივანიშვილმა, „რატომ ვჩქარობთ, ჯერ გვაქვს დრო; უარის თქმას ყოველთვის მოვასწრებთ. არ შეიძლება, რომ დღეს განვაცხადოთ, რომ ვმონაწილეობთ, ხვალ განვაცხადოთ, რომ არ ვმონაწილეობთ, ზეგ რაღაც შეიცვლება და ისევ ვმონაწილეობთ. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები".

„თუ ოლიმპიადის წინ ჩვენ გვექნება განცდა, რომ ჩვენი იქ მონაწილეობა შეურაცხმყოფელია, რა თქმა უნდა, არ მივიღებთ მონაწილეობას," — დასძინა მან.

8 ოქტომბერს ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველომ" და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირების მიზნით კამპანია წამოიწყო. ამ ეტაპზე კამპანიის ფარგლებში გროვდება ხელმოწერები ონლაინ პეტიციაზე, რომელსაც უკვე 9 000-ზე მეტმა მოქალაქემ მოაწერა ხელი.

რამდენიმე ქართულმა მუსიკალურმა ჯგუფმა და მომღერალმა 13 ოქტომბერს თბილისის ცენტრში ღია ცის ქვეშ **საპროტესტო კონცერტი გამართა** რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის და სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის წინააღმდეგ. მსმენელებს შორის ასევე იყო რამდენიმე დეპუტატი „ნაციონალური მოძრაობიდან".

ინტენსიური დებატები საქართველოს სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობასთან დაკავშირებით მას შემდეგ დაიწყო, რაც რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება ოლიმპიადის ერთ-ერთ მეჩირაღდნედ რუსეთ-საქართველოს „2008 წლის აგვისტოს ომის გმირი მფრინავი" შეერჩია. ივან ნეჩაევმა, რომელმაც რუსეთის გმირის წოდება საომარი მოქმედებების დროს დაზიანებული თვითმფრინავის პილოტირების გამო მიიღო, ოლიმპიური ცეცხლის გადაცემის ესტაფეტა კრემლის ტერიტორიაზე დაასრულა და ერთ-ერთია იმ 13 990 მეჩირაღდნიდან, რომლის ხელშიც გაივლის ოლიმპიური ცეცხლი სოჭში ჩატანამდე. საქართველოში ბევრი აღნიშნავს, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენელი, რომ მართალია ნეჩაევი ათასობით მეჩირაღდნიდან ერთ-ერთია, მაგრამ მისი მონაწილეობა ესტაფეტაში რუსულმა ტელეკომპანიებმა ფართოდ გააშუქეს — ეს ქმედება თბილისში მოსკოვის გამომწვევ ნაბიჯად მიიჩნიეს.

psnews.ge

სკამები ხარაგაულის ადმინისტრაციისთვის

ხარაგაული იმერეთში ფართობით ყველაზე დიდი გამორჩეული მუნიციპალიტეტია. თუმცა, ტერიტორიული სიდიდე ხარაგაულისთვის პოზიტივებს არ ქმნის. მიუხედავად მუნიციპალიტეტში არსებული რესურსებისა, ხარაგაულში მოსახლეობას სასიკეთო ძვრები არ შეუმჩნევია ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც. საკადრო პოლიტიკა, კოჰაბიტაციის მავნე ზეგავლენა და დასაქმების პრობლემები ხარაგაულშიც არსებობს, თუმცა, არის ზოგიერთი საკითხი, რომელთა ანალიზიც ტრაგიკომიკურ ელფერს იძენს. ერთმა ხარაგაულელმა ისიც კი თქვა, რომ უპრიანი იქნებოდა, ხარაგაულის შესასვლელში რომ არიან დევები, ისინი გაცოცხლდნენ და შეცვივდნენ გამგეობაშიო.
არსებული პრობლემების ანალიზისთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, რუსუდან გურგენიძეს მივმართეთ.

რუსუდან გურგენიძე

– ქალბატონო რუსუდან, ხარაგაული იმ მუნიციპალიტეტთა შორისაა, რომლებზეც არ აქვს ფართო საზოგადოებას ინფორმაცია, როგორ მიმდინარეობს კოჰაბიტაციური პერიოდი ხარაგაულში?

— კოჰაბიტაციის პროცესი ხარაგაულში იმდენად „კარგად" მიდის, რომ ხშირად ეჭვი მეპარება, მე ხომ არ ვიყავი „ნაციონალი" ნეტავ? მარტო ის რად ღირს, რომ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატების" ხელმძღვანელი არის პიროვნება, რომელიც 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობიდან" ხარაგაულის მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო შტაბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ნაციონალების" სიით მოხვდა საკრებულოში, ხოლო უკანასკნელ არჩევნებში „ნაციონალების" მაჟორიტარ კანდიდატს ეხმარებოდა საარჩევნო კამპანიის წარმოებაში და, შეიძლება ითქვას, მისი მარჯვენა ხელი იყო.

– თავად დავამუშავე საკითხი, რომელიც გასული პირველი ექვსი თვის ხარაგაულის ბიუჯეტს შეეხებოდა. „მინუსიანი" ბიუჯეტი არ აქვს ხარაგაულს, მაგრამ მოსახლეობას მაინცდამაინც კმაყოფილების ხარისხი არ გაზრდია. რა არის, „კარგი" ბიუჯეტის მიუხედავად, ხალხის უკმაყოფილების მთავარი მიზეზი?

— რატომ არ შეეტყო ბიუჯეტის ზრდა ხარაგაულის მოსახლეობას? ერთი მარტივი მიზეზის გამო — ბიუჯეტის დიდი ნაწილი ადგილობრივი ხელისუფლების ხელფასებს და პრემიებს ხმარდება. როგორც მაქვს ინფორმაცია, პრემიის სახით მარტო აგვისტოში 18 000 ლარია გამოყოფილი. კულუარული ინფორმაციით, ყველა მაღალჩინოსანი, ვინც კი ხარაგაულის ტერიტორიაზე გაივლის და რიკოთის უღელტეხილზე სადილად რომელიმე რესტორანში შევა, დანახარჯს გამგებელს უგზავნის, მისივე მოთხოვნით, მართალია, ბიუჯეტის ზრდა სხვადასხვა პროექტების დაფინანსებას იწვევს, მაგრამ იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ აქვთ მუდმივი შემოსავალი, სიღარიბის ზღვარზე არიან, დიდი ვერაფერი შეღავათია კულტურის ცენტრისა თუ რომელიმე სოფელში ბაღის აშენება. მით უმეტეს, რომ რამდენიმე წელიწადში შეიძლება ამ ბაღში მიმსვლელი ბავშვი აღარც კი იყოს სოფელში. ხარაგაულში ხომ ძალიან მწირი შემოსავალი აქვს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს.

– როგორც ამბობენ, თქვენს მუნიციპალიტეტში საშტატო ერთეულები იმდენად გაიბერა, რომ არა მარელისის წარმოებული სკამები, ალბათ, გაჭირდებოდა ახალი „ადამინებისათვის" სკამების მოძიება. რამდენად შეეფერება სინამდვილეს აღნიშნული?

— შტატების „გაბერვა" ხარაგაულში, კარგა ხანია, შაყირის თემაა. თითოეული ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულს მინიმუმ სამი თანაშემწე ჰყავს. გამგეობის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურები გაყოფილია, შტატგარეშე ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლების სათვალავი აღარაა. გამგებელს ოთხი მოადგილე ჰყავს. საფინანსო სამსახურში საბიუჯეტო, ეკონომიკური და შესყიდვების განყოფილებები ცალ-ცალკეა. არასამეწარმეო იურიდიული პირები ცალკე თემაა... არჩევნების შემდეგ, 2013 წელს, ორი აიპი შეიქმნა, ხოლო აიპებში „ნაციონალების" კოორდინატორების დასაქმება ჩვეულებრივი ამბავია.

– რახან მარელისი ვახსენეთ, რამდენად შეიძლება მარელისის ავეჯის ფაბრიკის აღორძინება? ასევე, რა სიტუაციაა ზვარესა და ნუნისში? რატომღაც ეს ორი რეკრეაციული ობიექტი ყურადღების მიღმა რჩება!

— მარელისის ფაბრიკის აღორძინება შეუძლებელია, ვინაიდან იქ უკვე აღარაა დაზგა-დანადგარები და მეპატრონე უკვე შენობის აგურ-აგურ გაყიდვაზე გადავიდა. რაც შეეხება ზვარეს, მისი აღდგენა მართლაც შესაძლებელია, თუმცა ახალი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის გამო (არ ვიცი, მშენებლების ბრალია თუ სახელმწიფოს მხრიდან დაუდევრობისა), მინერალური წყლის ჭაბურღილის სათავეზე მიმდინარეობს გვირაბის მშენებლობა. ეს კი მინერალური წყლის შემადგენლობის ცვლილებას გამოიწვევს. რაც შეეხება ნუნისს, ნუნისი კერძოსაკუთრებაა, მუშაობს სრული დატვირთვით, თუმცა, სასურველი იქნებოდა, კიდევ მეტის გაკეთება და ცოტა ფასების გადახედვაც.

– მოლოდინის მიუხედავად, ათასგან და ათასგზის შერისხული „რესპუბლიკური პარტიის" წევრი გყავთ მაჟორიტარ დეპუტატად. როგორც რიგითი ადამიანები ამბობენ, მან მაქსიმუმი შეძლო ამ მოკლე პერიოდში. როგორ შეაფასებდით მის საქმიანობას?

— რაც შეეხება დეპუტატის, ნოდარ ებანოიძის საქმიანობას, ვფიქრობ, ხარაგაულს ასეთი დეპუტატი არ ჰყოლია. ხარაგაულის ბიუჯეტის ასეთი ზრდაც ხომ მისი დამსახურებაა. როგორც კანონმდებელი, ნამდვილად იმსახურებს პატივისცემას.

– ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტის საკრებულოებში დიდი გადაადგილებები შეიმჩნეოდა. ალბათ, არც თქვენი საკრებულო იქნება გამონაკლისი, მაგრამ მინდა კომენტარი გააკეთოთ 28 დეპუტატიანი საკრებულოს 6 ფრაქციაზე...

— გადაადგილებები ხარაგაულის საკრებულოში საერთოდ არ მომხდარა. არც ერთი კომისიის თავმჯდომარე არ შეცვლილა, რომ აღარაფერი ვთქვათ, საკრებულოს თავმჯდომარესა და მოადგილეზე. უბრალოდ, ფრაქციები შეიქმნა, რისი საშუალებითაც „ნაციონალები" იღებენ ხელფასს. საკრებულოში ამჟამად ერთი „ნაციონალური" ფრაქცია და 5 სამკაციანი ფრაქციაა. ამათგან სამის სახელში „ქართული ოცნება" ფიგურირებს.

როლანდ ხოჯანაშვილი
psnews.ge

სალხის აზრი

უნდა მიიღოს თუ არა საქართველომ მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში?

გიორგი მეფარიშვილი

გიორგი მეფარიშვილი, სტუდენტი: „აუცილებლად უნდა წავიდნენ სოჭში ჩვენები, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ოლიმპიადაზე ძალიან ბევრი სპორტსმენის კარიერული წინსვლა და წარმატებაა დამოკიდებული. პოლიტიკური თვალსაზრისითაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, რუსებმა უნდა იფიქრონ, რომ ქართველი ერი ყოველთვის ყველაფერში წარმატებული და გამარჯვებულია".

ოლეგ ხელაძე

ოლეგ ხელაძე, მძღოლი: „სპორტი და პოლიტიკა, მართალია, არ უნდა ერეოდეს ერთმანეთის საქმეებში, მაგრამ, გავლენა მაინც არსებობს. რუსებმა იმდენი რამ დაუშავეს საქართველოს, რომ, ჩემი აზრით, არ უნდა მივიღოთ ოლიმპიადაში მონაწილეობა და ეს იქნება ერთგვარი ბოიკოტი დამპყრობელი რუსეთის მიმართ."

მაია ბანძელაძე, დიასახლისი: „ჩემი აზრით, იქ წასვლა პრესტიჟის საქმეა ჩვენი ქვეყნისთვის და ამ ოლიმპიადაზე უარის თქმა ნამდვილად არ იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოსათვის, რომ ქვეყანას რუსეთის რისხვა მოშორდეს. უნდა წავიდეთ და დავამტკიცოთ რა შეგვიძლია."

თენგიზ აფხაზაშვილი

თენგიზ აფხაზაშვილი, გამყიდველი: „აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა საქართველომ. სპორტი სპორტია და პოლიტიკა — პოლიტიკაა. 4 წელი ემზადებიან სპორტსმენები, რომ რაღაცას მიაღწიონ და რუსეთის გამო წყალში რატომ უნდა ჩაიყაროს ამდენი შრომა?"

ელდარ იმნაძე, მკერავი: „არანაირად არ უნდა წავიდნენ იქ ქართველები. პატივს ვცემ მათ შრომას, მაგრამ დაუშვებელია სოჭში ქართველების წასვლა."

გია ბერაძე, ფილოლოგი: „ეს საკადავ საკითხია, გარკვეული პლიუსებიც აქვს საქართველოს გამოჩენას ამ ოლიმპიადაზე, შეიძლება რომ წავიდეთ და იქ დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია, რაიმე ფორმით გამოვხატოთ პროტესტი რუსული აგრესიის მიმართ."

მალხაზ ენებაშვილი

მალხაზ ენებაშვილი, ინჟინერი: „4 წელიწადში ერთხელ იმართება ეს ოლიმპიადა და რატომ არ უნდა წავიდნენ სპორტსმენები. რა შუაშია სპორტი პოლიტიკასთან? ცოდვები არ არიან ბიჭები? რამდენი იწვალეს ამ დღისათვის. პოლიტიკა სპორტზე არ უნდა ახდენდეს არანაირ გავლენას, ეს დიდი შეცდომაა და ის ადამიანები ზარალდებიან, ვინც უამრავ დროს და ენერგიას სწირავს წინ წაიწიოს ცხოვრებაში როგორც შეუძლიათ და ახლა ხელს ვუშლით?"

ჟანა ჯანელიძე

რატომ ვერ გადის ქართული თაფლი უცხოურ ბაზარზე?

სტუმრად წყალტუბოელ მეფუტკრეებთან...

ამ რამდენიმე ხნის უკან, პირად პრობლემასთან დაკავშირებით, წყალტუბოს პოლიციის რაიონული განყოფილების ერთი თანამშრომელი გიორგი (გია) კაკაურიძე გავიცანი, რომელიც გარდა იმისა, რომ პოლიციელია, როგორც შემდგომ გავიგე, მოხალისე მეფუტკრეც აღმოჩნდა. ამით იმდენად გაოცებული დავრჩი, რომ გადავწყვიტე დღევანდელი მეფუტკრეობის პრობლემებით დავინტერესებულიყავი და ბატონ დაჩი იოსელიანს ვესტუმრე.

„P.S. ფოტო" ©

დიდი მწერლის, ბატონ ოტია იოსელიანის ვაჟები, გარდა იმისა, რომ არიან დიდი ინტელექტის პატრონები, სერიოზული მეფუტკრეებიც აღმოჩნდნენ და მამის მსგავსად, ერუდირებული გლეხებიც.

წყალტუბოს რაიონი საქართველოში ის ადგილია, სადაც ქართული ფუტკარი ჯერ კიდევ დინოზავრების ეპოქიდან მოყოლებული, დღესაც ველური სახით სახლობს სათაფლიის მღვიმის შემოგარენში და თვით მღვიმის თავზეც კი. აქაური გლეხი ოდითგანვე მისდევდა ამ საქმიანობას და წინაპართაგან მიღებული გამოცდილება ქმნიდა მეფუტკრეობის — როგორც დარგის, სახეს.

ბატონი დაჩი მამის მსგავსად სიტყვა უხვი და საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. ოღონდ, შეწუხდა იმის გამო, რომ გაზეთის რესპონდენტი ის აღმოჩნდა და არა მისი ძმა — ბაჩო.

— ბატონო დაჩი, რას გვეტყვით ქართული მეფუტკრეობის დღევანდელობაზე და არის თუ არა იგი ქართული სოფლის მეურნეობის რენტაბელური დარგი? — ასეთი იყო პირველი შეკითხვა.

— რასაც აქამდის ვხედავდით, იყო ის, რომ ყოფილ ხელისუფლებას ქართული სოფლის მეურნეობის ამოძირკვა ჰქონდა ჩაფიქრებული და ამისათვის კეთდებოდა ყველაფერი, უსისტემოდ იყიდებოდა და იჩეხებოდა ტყეები, — შეზღუდვების გარეშე. მოგეხსენებათ, რომ სწორედ ტყე და დამუშავებული ველ-მინდვრები წარმოადგენს ფუტკრისათვის ღალის მოგროვების ერთადერთ პირობას — ჩვენს ქვეყანაში კი ყველაზე მეტად ის ნადგურდებოდა, რაც ყველაზე მეტად გვესაჭიროებოდა. მეფუტკრეობა, როგორც დარგი, ყველაზე ნაკლებ ხელყვეს, უფრო სწორად, ვერაფერი მოუხერხეს, რადგან შრომისუნარიანობაზეა დამოკიდებული. დარგის განვითარებისათვის ხელისუფლების მხრიდან არანაირი ხელშეწყობა არ არსებობდა. არადა, სადღეისოდ მეფუტკრეობა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ითვლება სტრატეგიულ დარგად და იქ ყველაფერი კეთდება მისი სრულყოფისა და განვითარებისათვის. ჩვენ პირადად, ქართველ მეფუტკრეებს, გვეხმარება თავად ფუტკარი და ის, რაც მას მოაქვს და გვიტოვებს. დარგი ვითარდება სპონტანურად და არსებობს უამრავი პრობლემა. მათ შორის, უპირველესი გახლავთ ის, რომ არ არსებობს ჩვენი წარმოებული პროდუქციის გასინჯვის საშუალება, რის გამოც ქართული თაფლი ვერ გაგვაქვს უცხოეთის ბაზარზე. უცხოელი არ ყიდულობს მას სერთიფიკატის გარეშე, არადა, ჩვენი ქართული თაფლი არის ძალიან მაღალი ხარისხის და სახელმწიფოსაგან სერთიფიკატის მიღება ჭირს, რადგან იმდენად ძვირი ჯდება, რომ ჩვენი შემოსავლების გათვალისწინებით, ფაქტობრივად, გახლავთ მიუღწევადი. ჩვენ ამასწინათ გავსინჯეთ ირანიდან შემოტანილი თაფლი და ჩვენდა გასაკვირად აღმოჩნდა დაბალი ხარისხის, არადა, ქართული ფუტკრის პროდუქტი თავისი კომპონენტებითა და შემადგენლობით იმდენად ძლიერია, რომ თუნდაც ნახევრადფალსიფიცირებული იყოს, ხარისხობრივად მაინც მაღლა დგას სხვა ქვეყნების თაფლის პროდუქციასთან შედარებით.

ორი ათეული წლის უკან საქართველოში არსებობდა სასწავლო უნივერსიტეტები, სადაც ეწეოდნენ კვლევებსა და სამეცნიერო მოღვაწეობას. ისინი იძლეოდნენ დასკვნებს და ჰქონდათ სერთიფიკატების გაცემის უფლებაც. დღეს ჩვენი იაფი ღირებულების მქონე თაფლი არალეგალურად გადააქვთ საზღვარზე — თურქეთში, რისთვისაც იხდიან დიდ ფულს. ამასწინათ, მოგვადგა ერთი ბათუმელი კაცი და მოგვთხოვა წაბლის თაფლი. ჩვენ ვიფიქრეთ, ალბათ, სჭირდება 10 ან 20 კილო, ის კაცი კი 20 ტონა თაფლზე გვეკითხებოდა. ჩვენი საოჯახო მეურნეობა კი სულ 40-50 ოჯახს ითვლის. რა თქმა უნდა, იძულებულნი გავხდით, კულტურულად მოგვეცილებინა თავიდან.

სამუშაოდ გასული ფუტკარი რამდენიმე პროცენტით ზრდის დამუშავებული ფართობების პროცენტიულობას. მაგ. დღეს ამერიკაში შეიქმნა პრობლემა — იქაური ფუტკარი წყდება, რაზეც მუშაობენ ამერიკული კვლევითი ინსტიტუტები, მაგრამ მიზეზი ჯერ ვერ დაუდგენიათ, ამის გამო ამერიკაში უკვე ვეღარ ღებულობენ ნუშის მოსავალს, რაც მათთვის იქცა სერიოზულ პრობლემად. თუ არ ეყოლებათ ფუტკარი, არ ექნებათ ნუშის მოსავალი. ჩვენთან კომუნისტების დროს მეფუტკრეობა არსებობდა, როგორც ორგანიზებული დარგი. თუ საკოლმეურნეო ფართობების შორიახლო მეფუტკრე მოიყვანდა თავის ფუტკარს და ზაფხულის მანძილზე სამუშაოდ დატოვებდა, დავუშვათ წიწიბურას მოსავალი იზრდებოდა 30-40%-ით, რის გამოც ნათესების პატრონი მეფუტკრეს უხდიდა გარკვეული სახის გასამრჯელოს მისთვის გაწეული სამსახურისათვის. რა თქმა უნდა, ბევრი კარგი ტრადიცია დაიკარგა. იმ თითქოსდა ავადსახსენებელი კომუნისტების დროს არსებობდა საცდელი მეურნეობები. ერთ-ერთი მათგანი იყო თბილისთან ახლოს — ტაბახმელაში, სადაც ამ მეურნეობის ნარჩენები დღესაც არსებობს. აქ დღესაც საქმიანობს ამ დარგის საუკეთესო სპეციალისტი — ქალბატონი ვენერა სტეფანიშვილი — პროფესიით ბიოლოგი, რომელმაც შექმნა სამედიცინო პრეპარატი ფხვნილის სახით, რომლითაც იკურნება ფუტკრის ერთ-ერთი ძნელად მოსარჩენი დაავადება. ქ. მცხეთაში არსებობდა აგრეთვე ხელოვნური ფიჭების დამამზადებელი საამქრო. დღეს მათ დამზადებაზე მუშაობენ კერძო პირები და ხშირ შემთხვევაში მათ მიერ წარმოებული პოდუქცია გახლავთ არასანდო, რადგან არსებობს ფალსიფიკაციის დიდი შანსები.

ჩვენს საოჯახო მეურნეობაში ფიჭასაც და სკასაც ჩვენ თავად ვამზადებთ, აქ ყველაფერი გახლავთ გასათვალისწინებელი. აღარ იწარმოება საიმედო საღებავები, ჩვენ კი თავად შევქმენით ტექნოლოგია, რომელიც გახლავთ უსაფრთხო და ჩვენი სკები არ საჭიროებენ შეღებვას. ჩვენი ოჯახური მეურნეობის მიღწევები არის ჩემი ძმის — ბაჩოს დამსახურება. ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში მისი დაყინებული მოთხოვნით ჩვენს ოჯახში გაჩნდა ფუტკრის პირველი ოჯახი, რომელმაც შემდგომ მიიღო საოჯახო ბიზნესის სახე. გვქონია ისეთი ექსტრემალური სიტუაციები, როცა ფუტკრის მოვლაში ღებულობდნენ მონაწილეობას ჩვენი ოჯახის ქალებიც. დღეს ყველა, ვისაც უნდა, შექმნას საკუთარი საოჯახო მეურნეობა, ცოდნას ღებულობს საკუთარი მონდომებითა და კარდაკარ კითხვით.

სოფელ ბაშში დღეს ცხოვრობს უხუცესი მეფუტკრე ბატონი შალვა იოსელიანი, რომელმაც შეძლო და დამოუკიდებლად გამართა საკუთარი მეურნეობა უმაღლეს დონეზე — აქვს საკუთარი ლაბორატორია, სადაც დასაქმებული ჰყავს ოჯახის წევრები. ასევე აქვს თანამედროვე ტექნიკა-დანადგარები თანამედროვე ამწე-ხილურებით, ჰყავს 1000-ზე მეტი ოჯახი, და მათთვის საჭირო სკებსაც საკუთარ მეურნეობაში აწყობენ.

— ბატონო დაჩი, რა პრობლემები უშლის ხელს მეფუტკრეობის, როგორც დარგის განვითარებას?

— ტყის გაჩეხვა და ერთწლიანი კულტურების არ დათესვა პირდაპირ კავშირშია მეფუტკრეობის დაბალ რენტაბელობასთან. ნეტა იცოდეთ რა ლამაზია ფუტკარი სიმინდისა და კვახის ყვავილის მტვერში ამოგანგლული. შეიძლება, ბევრმა არ იცის, რომ ყვავილის მტვერი სამჯერ ძვირი ღირს, თაფლთან შედარებით. ხემცენარეებში აკაციის შემდგომ თაფლოვანები ნაკლებადაა. ცაცხვის ხეები იშვიათობა გახდა. მათ გაშენებაზე აღარავინ ფიქრობს. ასევე არ არსებობს მათი გადაყვანის ორგანიზებული წესები. პირადად ჩვენ მათ ტრანსპორტირებას მიკროავტობუსებით ვახორციელებთ. ამასწინათ, ინტერნეტში ვიპოვეთ კანადაში საფუტკრე მეურნეობაში გადაღებული ვიდეოფილმი. ეს იყო საოცრება — ექვსი ათასი სკა ერთ საფუტკრეში, — ტრანსპორტში კასრების შედგმას ვერ ასწრებდნენ, რაზეც ქართველი მეფუტკრეები, ალბათ, ძალიან დიდხანს ვერც კი იოცნებებენ.

ხელშეწყობა იქნება თუ იარსებებს ინვენტარის დამამზადებელი საამქრო, ასევე — უნდა არსებობდეს პატარა მაღაზია-საწყობი, ქართველ მეფუტკრეებს არ გააჩნიათ არანაირი ლიტერატურა მეფუტკრეობაზე, არც მოსამზადებელი კურსები ფუნქციონირებს სადმე. ჩვენგან განსხვავებით, უკრაინაში უკვე არსებობს ამ დარგის განვითარების ორგანიზებული ფორმები. იქ მუშაობს მაღაზია, სადაც თავს იყრის ყველა თანამედროვე სერვისი. მათ აქვთ სურვილი გახსნან თავიანთი ფილიალები საქართველოში, მაგრამ თუ რაიმეს შექმნას მოინდომებენ, საგადასახადოები უნდა არჩინონ, ამიტომაც ვერ რეგისტრირდებიან ინდმეწარმეებად და შპს-ებად. დამწყებისათვის რაღაც შეღავათები უნდა არსებობდეს. ისინი კი ყველა მეწარმეს ერთნაირი კანონმდებლობით უდგებიან. თუ საქართველოში საგადასახადო კანონი არ შეიცვალა, ქართველ მეფუტკრეებს არაფერი შეემატებათ. დღეისდღეობით წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ის, რომ ინტერნეტით ვახერხებთ ინფორმაციების მიღებას. 90-იან წლებში მოსკოვიდან ვღებულობდით ჟურნალს მეფუტკრეობის შესახებ, სადაც ჩვენთვის საჭირო უამრავი მასალა იბეჭდებოდა. ცუდია ისიც, რომ ქართველ მეფუტკრეებს არ გაგვაჩნია გასაღების ბაზარი. გვინდა — არ გვინდა, იძულებულნი ვართ, ჩვენი პროდუქცია ადგილზე გავასაღოთ. თუ მოხერხდება ის, რომ შეიქმნას ჩამბარებელი პუნქტი, სადაც ჩაიბარებენ ჩვენს პროდუქციას და შემდეგ საზღვარგარეთ გაიტანენ, ქართველი მეფუტკრეები წელში გაიმართებიან.

საზღვარგარეთ არსებობს ერთი საინტერესო სერვისი — იქაური თაფლი იყიდება ჭურჭელში ჩაწყობილი ფიჭით. თუ მეფუტკრეს ექნება ლიცენზია, რითაც საკუთარი წარმოების აწყობას შეძლებს და ექნება გასაღების ბაზარი, ქართული მეფუტკრეობა აყვავდება. წყალტუბოში ცხოვრობს ცნობილი მეფუტკრე ანდრო ყურაშვილი, რომელსაც აქვს სერთიფიკატი და სახელმწიფო ბეგრავს ასეთ ოჯახებს. ჩვენს ქვეყანას დღეს ბევრი გაუმართავი კანონი აქვს და ყოველი გაუმართავი კანონი წარმოადგენს სიყალბის საფუძველს.

— ბატონო დაჩი, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს რაში ხედავთ?

— სახელმწიფომ არ უნდა შეუშალოს ხელი ქართულ მეფუტკრეობას განვითარებაში, უნდა მოხდეს დაფანტული მეფუტკრეების კოორდინაცია, მათ სჭირდებათ ინვენტარი, მედიკამენტები, ლიტერატურა, სასწავლებელი, სადაც მომზადდება ახალი კვალიფიციური კადრები. ჩვენ — ქართველებს გვჭირდება ამერიკული ტიპის საფუტკრის მოდელი, სადაც მოხალისე მეფუტკრე იღებს ნაკვეთს, თესავს თაფლოვანს, მოიყვანს მოსავალს, რომელსაც გამოიყენებს საქონლის საკვებად, სახნავ-სათესი მიწა მუდამ უნდა იყოს დამუშავებული. ჩვენში ჯერ კიდევ ვერ გახდა მეფუტკრეობა წარმოების სახეობა, როცა ამდენი ბუნებრივი პირობები არსებობს ამ დარგის განვითარებისათვის. ერთი უწესრიგობა იწვევს მეორეს — ჩვენში სახელმწიფო ჩამოყალიბდა როგორც დამსჯელი ორგანო და, ჯერჯერობით, არ წარმოადგენს ხალხის ინტერესების დამცველს. ფუტკარი გახლავთ ღვთის რჩეული მწერი და მას სჭირდება სათანადო პატივისცემა. სახელმწიფო არ იყენებს საკუთარ ადამიანურ რესურსებს იმიტომ, რომ მშიერი და ღატაკი ერი იოლი სამართავია. ფერმერული მეურნეობები მიწასთანაა გასწორებული.

ქართული სოფელი არის ქართული სახელმწიფოს ძლიერების საფუძველი. ჩვენ ბერძნები გვეძახდნენ გეორგიანელებს. მითოლოგიიდან ცნობილია, რომ მეფე აიეტი თავად ხნავდა მიწას ვერცხლის ჩლიქებიანი ხარებით, თავად მეფეც კი გვყავდა მხვნელი და მთესველი. ჩვენ ვართ მიწათმოქმედი ხალხი. ყოფილმა ხელისუფლებამ კი ქართველ გლეხს ვენახი გააჩეხვინა, ჩაი ამოაძირკვინა და მის მაგიერ დაგვრჩა გაველურებული მაყვალი და სპეციალურად მოშენებული წითელი მგლები. შრომისუნარიანი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქუჩაში დგას უსუქმოდ და ხელისუფლება ვერ ახერხებას ამ ენერგიის სწორი მიმართულებით წარმართვას.

იმედია, ახალი ხელისუფლება, რომელსაც პოზიტიური ხედვები გააჩნია, შეძლებს ქართველი გლეხის ხელშეწყობასა და ქართული სოფლის მეურნეობის აყვავების გზაზე სათანადო ნაბიჯებს გადადგამს.

ლელა ფხაკაძე-ზარანდია

ქუთაისის ციხეში გარდაცვლილი გოგა ძველაიას საქმის გამოძიებას სახალხო დამცველის აპარატი დააკვირდება

საქართველოს სახალხო დამცველი ეხმაურება, 2013 წლის 11 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გავრცელებულ განცხადებას, რომელშიც ის სახალხო დამცველს მოუწოდებდა შეისწავლოს აღნიშნული საქმის კონკრეტული გარემოებები, რათა არცერთი შეკითხვა არ დარჩეს პასუხგაუცემელი.

აღსანიშნავია, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა პატიმარ გოგა ძველაიას გარდაცვალების ფაქტის შესწავლა ინფორმაციის გავრცელების მომენტიდან, 2013 წლის 8 ოქტომბრიდან დაიწყო. იმავე დღეს, სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, დაწესებულებაში არსებული ყველა ტიპის დოკუმენტაცია. ამჟამად მიმდინარეობს დამატებითი ინფორმაციის მოძიება. საქმის შესასწავლად, მნიშვნელოვანია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ოფიციალური დასკვნა, რომელიც ჯერ არ არის დასრულებული.

გიორგი ძველაიას გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. მნიშვნელოვანია, რომ გამოძიება წარიმართოს დროულად და ეფექტურად. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ გამოძიების დამოუკიდებლობისათვის საქმე პროკურატურამ უნდა გამოიძიოს.

ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმრის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატი განცხადებას ავრცელებს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ სახალხო დამცველი ყურადღებით დააკვირდება გამოძიების მიმდინარეობის პროცესს, დასრულებისთანავე გაეცნობა სასამართლო ექსპერტიზის დასკვნას და გამოაქვეყნებს საკუთარ შეფასებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

ცხადია, თითოეული პატიმრის გარდაცვალება, მით უმეტეს, არასრულწლოვნის ტრაგედიაა, სახელმწიფოს მართებს ვალდებულება დაიცვას მათი სიცოცხლე და უსაფრთხოება სასჯელაღსრულების სისტემაში.

სახალხო დამცველი და მისი აპარატი არც ერთ ასეთ ფაქტს არ ტოვებს უყურადღებოდ და საკუთარი მანდატის ფარგლებში ახორციელებს ასეთი ფაქტების შესწავლას, რათა არც ერთი შეკითხვა არ დარჩეს პასუხგაუცემელი და თითოეულ ამგვარ ფაქტზე დადგინდეს ჭეშმარიტება.

2010-2011 წლებში სასჯელაღსრულების სისტემაში 142 და 140 პატიმარი გარდაიცვალა, ხოლო 2012 წელს — 67 პატიმარი. ცხადია, ძნელია თითოეული ოჯახის ტრაგედია და ტკივილი ციფრებში გადმოსცე, მაგრამ საზოგადოებას არ ახსოვს გასულ წლებში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი პირების მოწოდებები კონკრეტული სიკვდილობის ფაქტების დროულ და ეფექტურ გამოძიებაზე. გასულ წლებში ქვეყნის პირველი პირი რომ დაინტერესებულიყო ზემოაღნიშნული სტატისტიკით და ეზრუნა სიტუაციის გაუმჯობესებაზე, შესაძლოა, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში ვითარება გამოსწორებულიყო, არ მომხდარიყო ის საშინელი წამების ფაქტები, რომელთა გამოც დღეს 12 პირი პასუხისგებაშია მიცემული და სასჯელს იხდის, მრავალი პატიმრისათვის აღმოეჩინათ დროული სამედიცინო დახმარება და მინიმუმადე დაეყვანათ სასჯელაღსრულების სისტემაში სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

psnews.ge

მართვის მოწმობის აღების წესი მარტივდება

შსს-თ ინიციატივით 2013 წლის ბოლოდან, მოსახლეობას საშუალება ექნება მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდა როგორც ავტომატურ, ისე მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებაზე ჩააბაროს, იმ შემთხვევაზე, თუ მოქალაქე გამოცდას ჩააბარებს ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებაზე, მას უფლება ეძლევა მართოს მხოლოდ ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე ავტომობილი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოცდას მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებაზე ჩააბარებს, მოქალაქეს უფლება აქვს მართოს როგორც ავტომატური, ასევე მექანიკური გადაცემათა კოლოფის მქონე ავტომობილი. შს სამინისტროს მომსახურების სააგენტო სისხლის ბანკთან ერთად სიახლის დანერგვას გეგმავს, რომლის განხორციელების შემთხვევაში, მართვის მოწმობაში მიეთითება მფლობელის სისხლის ჯგუფი და რეზუსი. მართვის მოწმობაში, სისხლის ჯგუფის და რეზუსის აღნიშვნა, ამ ეტაპზე ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. ასევე მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე განთავსდება ლაბორატორია, სადაც უახლოეს მომავალში მსურველებს საშუალება ექნებათ მართვის მოწმობის აღებისას უფასოდ მიიღონ ინფორმაცია საკუთარი სისხლის ჯგუფისა და რეზუსის შესახებ.

2014 წლიდან შს სამინისტროს მომსახურების სააგენტო განათლების სამინისტროსთან ერთად საჯარო სკოლებში საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების წესების სწავლების შემოღებას გეგმავს. დღეისთვის აღნიშნული საგანი ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლება და მისი სწავლა ნებაყოფლობითია, 2014 წლიდან კი, აღნიშნული საგნის სწავლება უფროს კლასებში უკვე სავალდებულო გახდება.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

თანაგრძნობა

გაზეთ „P.S."-ის რედაქცია მწუხარებაში თანაუგრძნობს ჩვენს კოლეგასა და მეგობარს, ჟურნალისტ ინგა ვაშაყმაძეს, მამის, **გურამ ვაშაყმაძის** მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

უფასო განცხადებები

გაზეთი „P.S." („პოსტსკრიპტუმი") გაცნობებთ

თქვენ შეგიძლიათ, ისარგებლოთ ჩვენი ახალი სერვისით - მცირე განცხადებების გამოქვეყნება უფასო განცხადების ტალონით!
ამ მომსახურების მისაღებად საკმარისია, გაზეთიდან ამოჭრათ სპეციალური ტალონი, დაწეროთ თქვენთვის სასურველი განცხადებისა თუ მილოცვის ტექსტი და მოგვაწოდოთ რედაქციაში (მისამართი: რუსთაველის 37 ა), ან დატოვოთ „პოპულში" მდებარე წიგნების მაღაზია „ქიმერიონში" ყოველი კვირის ხუთშაბათამდე (მისამართი: რუსთაველის 141).
ძვირფასო მკითხველო! შეგახსენებთ ასევე, რომ თქვენ შეგიძლიათ გაზეთი „პოსტსკრიპტუმი" გამოიწეროთ და ბინაზე ან ოფისში მიიღოთ, ფასნამატის გარეშე, ან შეიძინოთ ქუთაისის ყველა საგაზეთო ჯიხურში და მარკეტში, მათ შორის „პოპულში"!
გაზეთის გამოწერისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 24 45 46, 599 17 70 39.

იყიდება

● იყიდება 500 კვ.მ. 2-სართულიანი კაპიტალური სახლი, 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, ხეხილით, ვენახით და სხვა.
მისამართი: თერჯოლის რაიონი, სოფელი ჭოგნარი, ქუთაისიდან 3 კილომეტრში.
ტელეფონი: 599 43 40 40

იყიდება სამოსახლო **მიწის ნაკვეთი** ქუთაისში, ტყიბულის ქ. №169. 550 კვ.მ. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 598 577 129

● იყიდება 4-განყოფილებიანი რუსული მაცივარი ქუთაისში, რომელიც მუშაობს 0 გრადუს ტემპერატურაზე. ახალი გადაღებილი ნორმალურ მდგომარეობაში, დაზიანებული აქვს მხოლოდ მარჯვენა გვერდის მცირე ნაწილი კოროზიით. გასაყიდი ფასი 350 ლარი.
ტელეფონი: 558 76 93 46

● 3-ოთახიანი, 4(5), 80 კვ.მ. ურემონტო კუთხის ბინა ქუთაისში, აღმაშენებლის ქ. №41-ში, ნინოშვილის ბაზართან, ამოსაშენებელი ლოჯიით და კიბის უჯრედით, სარდაფით. ფასთან და გადახდის პირობებთან დაკავშირებით შეთანხმება შესაძელებელია.
ფასი: 32000 $
ტელ.: 599 45 74 31; 599 13 66 01.
ალეკო გიორგაძე

სასწრაფოდ იყიდება! 6000 კვ.მ. მიწის ნაკვთი ქუთაისის შესასვლელში. **ფასი:** 1კვ.მ – 2 ლარი
ტელ.: 431 25 53 12

უძრავი ქონება

● **გირავდება ან ქირავდება!** 26 კვ.მ. რუსთაველის 71-ში გირავდება ან ქირავდება.
ფასი: 10000 $
ტელ.: 577 92 19 02. **ნანა**

● **2-ოთახიანი, ინდივიდუალური პრ. 2(6), 45 კვ.მ. ევრორემონტი ა/სადგომი, ბ/აირი, გათბობა,** კონდიციონერი, მ/წყალი, რკინის კარი, ტელეფონი, კომფორტული ბინა ავეჯი, თეთრეული, საჭირო ჭურჭელი, თეთრეული, კონდეციონერი (ზიმა-ლეტა). ფასი: 75 ლარი, ტელ.: 555 22 59 59
საერთო ფართი: 45 კვ.მ.
სართული: 2 ოთახების, რაოდენობა: 2,
ფასი: 75 ლარი,
ტელეფონი: 555 22 59 59

გირავდება ორსართულიანი სახლის პირველი სართული (იზოლირებული), კეთილმოწყობილი, ყველანაირი კომფორტით. შესაძლებელია, გამოიყენოთ საოფისედ. ფართი მდებარეობს გზის პირზე.
მისამართი:
ქუთაისი, ნინოშვილის ქ. №183ა.
ტელეფონი:
27 32 27; 599 92 92 49 (გია).
ფასი 10 000$

● **ქირავდება!** 2-ოთახიანი. ქალაქური პრ. 3(9), 80 კვ.მ. გარემონტებული მ/წყალი, რკინის კარი, ავეჯით, ღია აივნებით.
მისასამართი: ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №15, III კვ. I სად. (სასტუმრო „საქართველოს" თავზე). **ფასი:** 350 ლარი
ტელ.: 595 58 40 64; 492 25 25 84.
ლიანა

სხვადასხვა

● ვყიდი 100% ნატურალურ წაბლის თაფლს ქუთაისში, მაქვს ლაბორატორიული დამოწმებაც.
ტელეფონი: 598 11 30 70

● იყიდება 300 ცალი ცეცხლგამძლე აგური ქუთაისში. 1ცალი — 1 ლარი.
ტელეფონი: 599 07 40 47

მოვამზადებ

● მოვამზადებ სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებს ინგლისურ ენაში, ასევე უფროსი ასაკის ნებისმიერ მსურველს. აბიტურიენტებს — ინგლისური ენის ჩაბარების 100%-იანი გარანტიით.
ტელ.: 26 30 77
მისამართი: თაბუკაშვილის 28/4

● მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში, უნარებსა და ფიზიკაში.
ტელ.: 555 3182 69

● **ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას.**
CELTA -ს მიერ სერთიფიცირებული ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას მაღალ დონეზე. მეცადინეობები ჩატარდება 3-4 კაციან ჯგუფებში. მეცადინეობებს დაეთმობა ერთი საათი, კვირაში 4 დღე. ერთი თვე — 80 ლარი.
ტელ.: 557 26 08 43

მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №37. მესამე სადარბაზო, მესამე სართული.

ვაკანსია

გაზეთი „P.S." („პოსტსკრიპტუმი") აცხადებს ვაკანსიას **სარეკლამო აგენტის** თანამდებობაზე, მაღალი პროცენტული ანაზღაურებით.
ტელ.: 24 45 46,
599 107794

ყურადღება!
ვაკანსია ქუთაისში!

ქალაქის ცენტრში იხსნება ახალი საინტერესო კაფე. გვესაჭიროება მიმტანები (3 ვაკანსია), ბარმენი (1 ვაკანსია) ახალგაზრდა, ენერგიული, სიმპატიური, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხი. (უცხო ენის ცოდნა სავალდებულოა). ასევე ცვლის მენეჯერი (1 ვაკანსია) და მზარეული. დამირეკეთ 579 90 61 15. გისურვებთ წარმატებებს.

უფასო განცხადების ტალონი

(განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში)

უფასო განცხადების ტალონი ამოჭერით ტალონი, ჩაწერეთ შიგ თქვენი განცხადების ტექსტი, არაუმეტეს 20 სიტყვისა, მოგვაწოდეთ რედაქციაში მისამართზე: რუსთაველის ქ. 37ა. ან დატოვეთ წიგნების მაღაზია „ქიმერიონში" მისამართზე: რუსთაველის ქ. №141 („პოპული").

ყვირის ჰოროსკოპი

ვერძი: არცერთი წუთი არ დაკარგოთ, ეს დღეები იმდენად ნაყოფიერია თქვენთვის, რომ სხვა საქმეზე დროის დაკარგვა არ გეპატიებათ.

კურო: შესაძლებელია, მიიღოთ გადაწყვეტილება საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით. ძველ მეგობართან ურთიერთობა ახალ გრძნობებს გააჩენს თქვენში, უფრო რომანტიულს.

ტყუპები: პრობლემები იმატებს, თუმცა თქვენი მახვილგონიერების დახმარებით, მათ ადვილად მოაგვარებთ. იფრთხილეთ დოკუმენტებთან და ფულთან მიმართებაში.

კირჩხიბი: ეცადეთ, გარშემომყოფები არ გააღიზიანოთ. მოსალოდნელია ხასიათის ცვალებადობა. მოზღვავებული ენერგია სასარგებლო საქმეს მოახმარეთ. ეცადეთ, კარგი განწყობა შეიქმნათ.

ლომი: მოგიწევთ გაორმაგებული ტემპით მუშაობა. ამას თქვენი სამსახურეობრივი და გაუარესებული ფინანსური მდგომარეობა გაიძულებთ, თუმცა, ამავე დროს გააქტიურდება ოჯახთან დაკავშირებული პრობლემები.

ქალწული: ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. ყველაფერი ადვილად გამოგივათ — საოჯახო საქმეებით დაწყებული, კარიერით დამთავრებული. ახალი სასიყვარულო თავგადასავლებისაგან თავი შეიკავეთ.

სასწორი: ამ კვირაში ყველაზე აქტუალური კარიერა იქნება. საშუალება მოგეცემათ, განახორციელოთ ისეთი იდეები, რომლებიც თქვენთვის ახალი შემოსავლის წყარო გახდება. შეგიძლიათ ახალი საქმეებიც წამოიწყოთ. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა სასურველი შედეგით დასრულდება.

მორიელი: ოჯახურ პრობლემებს მიხედეთ. ეს კვირა შესანიშნავად ჩაივლის. საყვარელი ადამიანი სასიხარულო ამბავს გეტყვით.

მშვილდოსანი: ცხოვრება გარკვეულ სიტუაციაში მოგახვედრებთ, რომელიც წარმატებებს გპირდებათ, მაგრამ თავბრუ არ დაგეხვეთ, მიყევით დინჯად და დაფიქრდით.

თხის რქა: დოკუმენტების გაფორმებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. შემოქმედებითი კუთხით წარმატებები გელით. საყვარელ ადამიანთან კონფლიქტს ერიდეთ.

მერწყული: უნებლიედ წამოსროლილი სიტყვების გამო, შესაძლოა, ახლობელი გაანაწყენოთ. კარგი იქნება, თუ გააკონტროლებთ საკუთარ თავს და დაუფიქრებლად არაფერს იტყვით.

თევზები: შესაძლებელია, სამსახურის გამოცვლაზე სერიოზულად დაფიქრდეთ. აჩქარება არ ღირს. ეცადეთ, რეალურად შეაფასოთ თქვენი შესაძლებლობები.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. მაუზერი; 5. მზაღო; 6. ადა; 8. გრო; 9. აგნეშ; 11. ავდარში.
შვეულად: 1. ბურღი; 2. მეი; 3. მაზურკა; 4. ინდოეთი; 7. აგური; 10. ოდა.

საინტერესო ფაქტები ცნობილ ადამიანებზე

ალექსანდრე მაკედონელი



1. ალექსანდრე მაკედონელი თავის მეომრებს ასე არჩევდა: ადამიანი შეჰყავდათ ლომთან გალიაში და თუ გაფითრდებოდა, მათ იწუნებდა, ხოლო თუკი გაწითლდებოდა, ისინი მიჰყავდა. თანამედროვე მედიცინას თუ მოვიშველიებთ ეს ასე აიხსნება, თუკი ადამიანი გაფითრდებოდა, ე.ი. სისხლი ტოვებს ტვინს, რადგან მას არ მიეწოდება ჟანგბადი, რაც ნიშნავს იმას, რომ ის ვერ მოიფიქრებს გამოსავალს კრიტიკული სიტუაციიდან, ხოლო გაწითლებისას, პირიქით, სისხლი მიეწოდება ტვინს, ე.ი. ის მდიდარია ჟანგბადით და გონება სხარტად მუშაობს.

2. სანამ რაიმეს იწინასწარმეტყველებდა ნოსტრადამუსი, უძილობით იტანჯავდა თავს, რის გამოც ჰალუცინაციები ეწყებოდა და სწორედ ამ მდგომარეობაში მყოფი წინასწარმეტყველებდა.

3. მერლინ მონროს 6-6 თითი ჰქონდა ფეხებზე.

4. 35 წლის მოცარტს 600-ზე მეტი ნაწარმოები ჰქონდა შექმნილი, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ მის ქვრივს მისთვის საფლავის საყიდელი ფული არ აღმოაჩნდა.

5. რემბრანდტს სახლში მხოლოდ ორად ორი წიგნი ჰქონდა – „ბიბლია" და „ანატომიური ატლასი".

6. რომის იმპერატორი კალიგულა და იმ დროის ცნობილი მსახიობი აპელესი იუპიტერის ქანდაკებასთან იდგნენ. კალიგულამ ჰკითხა აპელესს: „ვინ უფრო მაღალია, მე თუ ღმერთი?" წამიერი დაფიქრების შემდეგ მსახიობმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, თქვენ, იმპერატორო!" კალიგულამ აპელესისათვის თავის მოკვეთა ბრძანა და იცით რატომ? – წამიერი ჩაფიქრებისთვის.

7. „ჩვენ ბარბაროსი შემოვუშვით ევროპაში" — ამბობდა სტალინზე ჩერჩილი.

8. ჩინელი კომუნისტების ლიდერი მაო ძედუნი თურმე არასოდეს იხეხავდა კბილებს, რასაც ასე ხსნიდა: „გინახავთ ვეფხვი კბილებს იხეხავდეს?"

9. ადოლფ ჰიტლერს ძალიან უყვარდა ადამიანების ხელისგულების თვალიერება. მას უზარმაზარი ძვირფასყდიანი წიგნი ჰქონდა, რომელშიც წარსულში ცნობილი ადამიანის ხელისგულების ანაბეჭდები იყო აღნუსხული. ჰიტლერი ყოველთვის აჩვენებდა სტუმრებს ამ წიგნს და განსაკუთრებით ამაყობდა იმით, რომ მისი ხელისგულის ანაბეჭდი ძალიან ჰგავდა ფრიდრიხ დიდის ხელისგულის ანაბეჭდს.

10. „ამათ ვერც ვერაფერი ისწავლეს და ვერც ვერაფერი დაივიწყეს," — თქვა თანამემამულეებზე ელბიდაან დაბრუნებულმა ნაპოლეონმა.

11. XVI საუკუნის დასასრულს უილიამ შექსპირს საგადასახადო სამსახური დასდევდა.

12. პაბლო პიკასომ იოსებ სტალინისთვის 70 წლისთავის მისალოცად ბარათი საკუთარი ხელით დახატა.

13. იულიუს კეისარმა, გაქცევისას მეომრებს ბრძოლის ველზე იარაღი რომ არ დაეყარათ, შესანიშნავი ხერხი გამოიგონა: ბრძანა, იარაღი შეემკოთ ძვირფასი თვლებით, რათა მებრძოლებს დანანებოდათ მისი ბრძოლის ველზე დატოვება.

14. არისტოტელე თავის ტრაქტატებში განიხილავდა ამ „არცთუ უსაფუძვლოდ გავლებულ ხაზებს". ამ ხაზებს დღეს, რითაც თურმე წინასწარმეტყველებაც კი შეიძლება, ქირომანტია ჰქვია.

15. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ უინსტონ ჩერჩილს ნობელის პრემია მინიჭებული აქვს ლიტერატურის დარგში.



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

გივი სიხარულიძის ამოცნობა, სამწუხაროდ, ჩვენმა მკითხველმა ვერ შეძლო

რას დაარქმევდით?

მაია ფანჯიკიძე

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ლევან ყიფიანი

ლევან ყიფიანი: „მერე რაა, წავალთ, აბა, რას ვიზამთ..."

ნაირა კიკვიძე

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. რაიონი იმერეთში; 5. ბანქოს თამაშში ჩადებული თანხა; 6. ანჩხლი, კაპასი; 8. ... ძე დუნი; 9. რაიონი დასავლეთ საქართველოში (შიდა ქართლში); 11. ოიდიპოსის დედა და ცოლი.

ვერტიკალურად: 1. ჯიუტი ცხენი; 2. დედამიწის ქალღმერთი ბერძ. მითებში; 3. თამარ მეფის მეორე ქმარი დავით ...; 4. კლეოპატრას სამშობლო; 7. „წითელი" პლანეტა; 10. ფუტკრის სახლი.